

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლება გზამკვლევი

პირველი გამოცემა, 2012



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი პირველი გამოცემა, 2012

კვლევა განხორციელდა პროექტ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge - ფარგლებში.

ფინანსური მხარდაჭერა - ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“



გზამკვლევაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი გზამკვლევის შინაარსზე.

აკრძალულია გზამკვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი: სერგი ჯორბენაძე
რედაქტორები: ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
წიგნზე მუშაობდნენ: თეა ცერაძე
მარიკა კეჭაყმაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა.მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი, 0179
ტელ: + 995322 996364
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

1. ინფორმაციის თავისუფლება.....	5
1.1 ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლება	6
1.1.1 ინფორმაციის თავისუფლება, როგორც შეზღუდული უფლება.....	7
1.1.2 შეზღუდვის ფარგლები	7
1.1.3 საზოგადოებრივი ინტერესის ცნება	8
1.2 ინფორმაციის თავისუფლების კავშირი გამოხატვის თავისუფლებასთან	9
1.3 სახელმწიფოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოში	10
2. ადმინისტრაციული წარმოება.....	11
2.1 ადმინისტრაციული წარმოების სამართლებრივი ფორმები.....	14
2.1.1 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	15
2.1.2 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	16
2.1.3 რეალაქტი	16
2.2 ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტები.....	17
2.2.1 პირი, რომელიც მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში	17
2.2.2 ადმინისტრაციული ორგანო.....	17
3. საჯარო ინფორმაცია.....	19
3.1 საჯარო ინფორმაციის დეფინიცია	19
3.2 საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი სუბიექტები.....	20
3.2.1 საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის უფლება	21
3.2.2 ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება	21
3.3 ინფორმაცია, რომელიც ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია	22
3.4 საჯარო ინფორმაციის მიღების კანონიერი შეზღუდვა.....	23
3.4.1.1 პირადი საიდუმლოება.....	23
3.4.1.2 კომერციული საიდუმლოება	29
3.4.1.3 პროფესიული საიდუმლოება.....	30
3.4.1.4 სახელმწიფო საიდუმლოება.....	31
3.4.1.5 აღმასრულებელი პრივილეგია	34
3.4.2 აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობა	34
3.5 საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშის წარდგენა .	37
3.6 საჯარო რეესტრი.....	38
3.7 საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი	39
4. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.....	40

4.1 განცხადების წარდგენა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.....	40
4.1.1 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შინაარსი	43
4.1.2 მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბება	45
4.2 საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება.....	45
4.3 საჯარო ინფორმაციის მიღების მიზანი	46
5. საჯარო ინფორმაციის გაცემა.....	46
5.1 ვადები	46
5.1.1 საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა და 10 დღიანი ვადა	47
5.1.2 საჯარო ინფორმაციის შექმნა/დამუშავება.....	48
5.2 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე	49
5.2.1 ვადები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში.....	50
5.2.2 უარის თქმის დაუშვებლობა	51
5.3 საჯარო ინფორმაციის გაცემის სახეები.....	54
5.3.1 სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია	55
5.3.2 არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია.....	55
5.3.3 სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე....	56
5.3.4 იგნორირება	61
6. ზიანის ანაზღაურება.....	61
6.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება	62
6.2 ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა	63
7. სამართლებრივი შედეგი საჯარო ინფორმაციის არგაცემისას	65
7.1 ადმინისტრაციული საჩივარი	65
7.1.1 ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა	73
7.1.2 განცხადების (ადმინისტრაციული საჩივრის) გადაგზავნა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში.....	74
7.1.3 ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად შეტანა	75
7.1.4 უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე.....	76
7.2 სარჩელი სასამართლოში	77
7.2.1 სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე	78
7.2.2 უარი სარჩელზე.....	79
7.2.3 სახელმწიფო ბაჟი საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხზე	80
ბოლოთქმა	82

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს წარმოდგენა ინფორმაციის თავისუფლების მყარი ინსტიტუციონალური საფუძვლების გარეშე შეუძლებელია. გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიული მმართველობის უმთავრეს პრინციპს და დანიშნულებას ხალხის ნების და საზოგადოების მოთხოვნილებების განხორციელება წარმოადგენს, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლებული და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა იყოს. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობა და თავის მხრივ გამოიყენოს საზოგადოებრივი რესურსი ეფექტიანი მმართველობისათვის.

ამავე დროს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ინფორმაციის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობას, საბიუჯეტო სახსრების განკარგვისა და საჯარო პოლიტიკის განხორციელების ღიაობას.

ინფორმაციის მიღების უფლება საერთაშორისო საზოგადოების მიერ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად იქნა აღიარებული და იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, თითოეული ადამიანის პიროვნული თუ პროფესიული განვითარებისა და ზოგადად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის.

ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ წყაროს ისეთი საშუალებების გარდა, როგორცაა ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებაც. აღნიშნული გულისხმობს/მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ინფორმაციის, კერძოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ამდღებს ურთიერთნდობის ხარისხს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, ხელს უწყობს ხელისუფლების ღიაობას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალე მმართველობას.

საკანონმდებლო გარანტიები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოში 1999 წელს იქნა მიღებული. არსებული კანონმდებლობით დარეგულირებულია ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების საკითხი, თუმცა სრულყოფილად მათი პრაქტიკაში დანერგვა სამწუხაროდ დღემდე ვერ ხერხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისევ ინფორმაციის ნაკლებობაა. ერთი მხრივ, მოქალაქეები არ იცნობენ და ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს და მეორე მხრივ, საჯარო მოხელეების ნაწილი ვერ აცნობიერებს კანონით განსაზღვრული მოვალეობის მნიშვნელობას, ვერ ან არ ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრისკენ. უკვე განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების მიზანია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ინსტიტუტის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკულ მაგალითებს. პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის-www.opendata.ge“ ფარგლებში ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, მათ შორის სასამართლო და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოებიდან. შესაბამისად ინსტიტუტის მიერ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა ფაქტობრივად საქართველოს მთელს საჯარო სივრცეს მოიცავს. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ნაშრომი რეალურად ასახავს საქართველოში არსებულ ვითარებას და სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, წიგნი წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.

გზამკვლევაში დეტალურადაა განხილული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, განმარტებულია საჯარო ინფორმაციის არსი და მოქალაქეების უფლებები საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. ნაშრომში მარტივი, გასაგები ენითაა გადმოცემული და განმარტებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები, მათ გაგებას მკითხველს არსებული პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები უადვილებს.

გზამკვლევის მიზანია, დაინტერესებულ პირებს მისცეს სათანადო თეორიული ცოდნა, დაეხმაროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მართებულ გაგებასა და გამოყენებაში. ვფიქრობთ, გზამკვლევი სასარგებლო იქნება, როგორც ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის, ასევე ზოგადად მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

1. ინფორმაციის თავისუფლება

დემოკრატიულ სახელმწიფოში, მართლწესრიგის დაცვის უპირველეს გარანტს კონსტიტუცია წარმოადგენს. კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს როგორც სახელმწიფოს, ისე ფიზიკური პირების ინტერესებისა და უფლებების დაცვას.¹ ადამიანის უფლების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი აუცილებელი ელემენტია, ხოლო ინფორმაციის მოძიება, მიღება და გავრცელება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს.

¹ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 76.

ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება.² აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა.³ ინფორმაციის თავისუფლება ვრცელდება მხოლოდ საჯარო დაწესებულებებზე. ამავე დროს საჯარო დაწესებულება არის შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს, ან სახელმწიფო (ადგილობრივი) ბიუჯეტის სახსრებიდან ფინანსდება.⁴

1.1 ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლება

ინფორმაციის თავისუფლების საკითხი საქართველოს კონსტიტუციის⁵ მეორე თავშია გაწერილი და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მთელ ჯგუფს მოიცავს.⁶ ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ადამიანისთვის მინიჭებული უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის⁷ თანახმად, თითოეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს (იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვაში - მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებში, იურიდიული პირის უფლებანი და თავისუფლებებიც იგულისხმება)⁸ აქვს უფლება იცოდეს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოებას. კანონის ამგვარი დეფინიცია ერთი მხრივ, საქართველოს მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას განახორციელონ მინიჭებული უფლებების რეალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს ავალდებულებს გარკვეული ქმედების განხორციელებას.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/-389 გადაწყვეტილება.

³ http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Electronic%20Transparency_GEO.pdf

⁴ ჩუკუაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 114.

⁵ საქართველოს კონსტიტუციის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010, 37-70.

⁶ სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება (საზოგადოებრივი მნიშვნელობისას), ინფორმაციის გავრცელება და სხვ. - ცნობილაძე პ., კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბილისი, 1998, 55.

⁷ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

⁸ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება, აგრეთვე, იურიდიულ პირებზეც.

1.1.1 ინფორმაციის თავისუფლება, როგორც შეზღუდული უფლება

ინფორმაციის თავისუფლება არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ აბსოლუტურ უფლებას.⁹ ადამიანის აბსოლუტური უფლება არის მხოლოდ და მხოლოდ ის უფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია - მაგალითად, სიცოცხლის უფლება, რომელიც ხელშეუვალია და რომლის ხელყოფაც შესაბამისი კანონით ისჯება.

საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა სახის მონაცემის მიღება კანონმდებლობით დაშვებული არაა, რაც წარმოადგენს სწორედ მისი შეზღუდვის საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით, ინფორმაციის თავისუფლების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი მოიცავს საიდუმლოების შემცველ მონაცემებს.

1.1.2 შეზღუდვის ფარგლები

კონსტიტუციური ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტებს, რომელთაგან აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.¹⁰ ადამიანის უფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს საჯარო ინტერესების დასაცავად, რომლის დროსაც სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს თანაზომიერების პრინციპი,¹¹ რათა არ განხორციელდეს კერძო თუ საჯარო ინტერესების დესპოტიზმი.¹² შესაბამისად, თუ არსებობს ადამიანის უფლებების შეზღუდვის აუცილებლობა, იგი განხორციელებულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო დაწესებულებების მიერ.¹³ სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განმარტებულ იქნეს, თუ რა სახის მონაცემების მიღება არ შეუძლია თითოეულ ჩვენგანს.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს საქმიანობა გარკვეულ შემთხვევებში გამჟღავნებას არ ექვემდებარება, კანონით დაშვებულია მისი გასაიდუმლოება. საქართველოს კონსტიტუცია კი, ინფორმაციის გასაიდუმლოების სამ ძირითად სახეს ითვალისწინებს: პირად, სახელმწიფო და კომერციულ საიდუმლოებას. აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალურად საუბრობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში - სზაკ), რომელსაც ქვევით შევხებით.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება.

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece), მითითებულია - *კორკელია კ., იზორია ლ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 117.


¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება.

¹² შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 248.

¹³ *კობახიძე ი., დემეტრაშვილი ა.*, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010, 77.

1.1.3 საზოგადოებრივი ინტერესის ცნება

ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე საუბრისას, აუცილებლად, ცალკე უნდა გამოიყოს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ცნება - საზოგადოებრივი ინტერესი.¹⁴ თავისთავად, მნიშვნელოვანია დადგინდეს ამ ცნების ფარგლები. ეს უპირველეს ყოვლისა სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს,¹⁵ ვინაიდან, სხვა მხრივ, ნებისმიერ პირს შეეძლება კონკრეტულ საკითხს ამგვარი ფორმულირება მისცეს და ამით უარი თქვას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. საზოგადოებრივი შეზღუდვის დროს აუცილებლად უნდა განისაზღვროს შეზღუდვის შინაარსი¹⁶ და თუნდაც სახეზე იყოს კანონის კონკრეტული სახის არარსებობა, იგი არ უნდა გახდეს კონსტიტუციური ნორმის ბლოკირების საფუძველი.¹⁷



¹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის Nბს-1435-1393(კ-08) გადაწყვეტილება.

¹⁵ იხილეთ იგივე სასამართლო გადაწყვეტილება: საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა აუქციონში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციის მიღებას. საჯარო დაწესებულებამ მას ინფორმაცია არ მიაწოდა, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია კონფიდენციალური ხასიათის იყო. სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებრივი ინტერესი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება კონკრეტული პირის ინტერესს სჭარბობდეს და იგი განსაზღვრული მოვლენის დადგომისკენ იყოს მიმართული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირს, გარკვეულ შემთხვევებში, იმ საფუძველით შეიძლება შეეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით მინიჭებული უფლება, თუ სახეზე იქნება საზოგადოებრივი ინტერესი.

¹⁶ იზორია ლ., ხუბუა გ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 148.

¹⁷ შეად. ზოიძე ბ., კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედებისა და კანონთა მიღების აუცილებლობის შესახებ, რომან შენგელიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, 2012, 50.

1.2 ინფორმაციის თავისუფლების კავშირი გამოხატვის თავისუფლებასთან

ინფორმაციის თავისუფლება თავისი არსით მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან.¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება.¹⁹ აღნიშნული უფლება გულისხმობს ადამიანისთვის მინიჭებულ შესაძლებლობას, საჯარო ხელისუფლების ჩარევის მიუხედავად, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, იდეები.²⁰ პარალელი რომ გავავლოთ საქართველოს კანონმდებლობასთან, შევნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი სწორედ ანალოგიურ საკითხზე საუბრობს.²¹ აღნიშნული ნორმის მიხედვით,²² ადამიანს თავისუფლად შეუძლია მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. თავის მხრივ ამგვარი შინაარსის მქონე ნორმაში არ იგულისხმება ადამიანის პატივისა თუ ღირსების შემლახველი ფაქტის გავრცელება. იგი მიუთითებს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებაზე, მოქალაქეებს არ დაუყენოს ე.წ. „ინფორმაციული ფილტრი“.²³

თუ პირმა ვერ მიიღო საჯარო დაწესებულებისგან საჯარო ინფორმაცია, იგი ვერ გამოხატავს საკუთარ აზრს, შეხედულებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო აზრის გამოხატვის შეზღუდვა²⁴ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს მნიშვნელოვნად შეაფერხებს.²⁵

¹⁸ მაგალითად, გერმანიის იურისპრუდენციაში არსებულ თეორიასა და პრაქტიკაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინფორმაციის თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლების დაცვა შეუძლებელია, თუ არ იქნა დაცული გამოხატვის თავისუფლება - იხ. *Gorning G.-H., Aeußerungsfreiheit und Informationsfreiheit als Menschenrechte*, Drucker & Humboldt GmbH, Berlin, 1988, 159.

¹⁹ *წკეპლაძე ნ., ტურავა პ.*, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 113.

²⁰ იქვე.

²¹ შეად. იქვე.

²² საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/-389 გადაწყვეტილება.

²⁴ საუბარია გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შეზღუდვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი აზრის გამოხატვით ავრცელებს არაზუსტ ინფორმაციას, აზნევს საზოგადოებას და უსაფუძვლოდ ზიანს

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც მოქალაქე საჯაროდ აკრიტიკებს ქვეყანაში დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას და ამის გამო იწყება მისი სამართლებრივი დევნა. ამ შემთხვევაში სახეზეა არა დემოკრატიული, არამედ ტოტალიტარული სახელმწიფოს მაგალითი, სადაც ხელისუფლება თავისი სურვილისამებრ ზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

1.3 სახელმწიფოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოში

სახელმწიფოს გამჭვირვალობა ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია,²⁶ თავის მხრივ მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს. მაშინ, როდესაც საზოგადოება ინფორმირებულია სახელმწიფო საქმიანობის შესახებ, ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობა მაღალია.²⁷ *თუ მოქალაქემ საჯარო დაწესებულებიდან მიიღო სასურველი ინფორმაცია,²⁸ ის მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უწყება კეთილსინდისიერად, კანონის ფარგლებში მოქმედებს. ხოლო, როდესაც საჯარო დაწესებულება არ გასცემს ინფორმაციას, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს უჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურას ეს საკითხი შეგნებულად აქვს გასაიდუმლოებული.*²⁹

დემოკრატიულ სახელმწიფოში „დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს სახელისუფლებო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე“.³⁰ სხვა მხრივ, შეუძლებელი იქნება საჯარო დაწესებულებების საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი“. დემოკრატიულ სახელმწიფოში გარანტირებული უნდა იყოს კანონის წინაშე თანასწორობა. კანონი ყველას უნდა აყენებდეს თანაბარ პირობებში. მაგალითად, თუ კანონმდებლობით, არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭიროა შესაბამისი ასაკის მიღწევა და სახელმწიფო ენის ფლობა, ეს მოთხოვნა

აყენებს მესამე პირებს. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 17 იანვრის N53440/99 გადაწყვეტილება - საქმეზე ჰერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ (Hertel v. Switzerland).

²⁵ იხ. ასევე, აღნიშნულ საკითხზე გერმანულ სამართალში გამოთქმული მოსაზრება - Berliner Informationsfreiheitsgesetz, Bundesinformationsfreiheitsgesetz, Berliner Informationsgesetzbuch, Berlin, 2011, 7.

²⁶ ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიამშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 265.


²⁷ შეად. იქვე.

²⁸ მაგალითად, მინისტრის დანამატების შესახებ.

²⁹ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხი, რომლითაც მან არ გასცა თავმჯდომარის მიერ აღებული პრემიების შესახებ საჯარო ინფორმაცია: <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/515>

³⁰ ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიამშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 265.

უნდა წაეყენოს ყველა კანდიდატს.³¹ სხვა შემთხვევაში სახეზე იქნება კანონის წინაშე პირთა თანასწორობის დარღვევა.



2. ადმინისტრაციული წარმოება³²

ადმინისტრაციული წარმოება ცალკე სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელსაც ცალკე ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას,³³ აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ ძირითად საკითხებზე შევჩერდებით და ადმინისტრაციულ წარმოებას უშუალოდ ინფორმაციის თავისუფლებასთან კავშირში განვიხილავთ.

ადმინისტრაციული წარმოება აუცილებლად უნდა იყოს კონსტიტუციურ საწყისებზე დამყარებული და არ უნდა შელახოს პირის უფლებები და თავისუფლება. სწორედ აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ წარმოებას გააჩნია **ოთხი ძირითადი პრინციპი**, რომელიც შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ:³⁴

ა) **კანონის წინაშე თანასწორობა** - აღნიშნული გულისხმობს, როგორც კანონის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობას;³⁵

³¹ მაგალითი აგებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 9 აპრილის N46726/99 განჩინებაზე. საქმე - პოდკლოზინა ლატვიის წინააღმდეგ (Podklozina v. Latvia).

³² ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

³³ იხ. მაგალითად, *ტურავა პ., ხარშილაძე ი.*, ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006.


³⁴ იხ. იქვე. 45-56. დიფერენციაცია აგებულია სწორედ აღნიშნულ თავში არსებულ დათქმაზე.

³⁵ მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის Nზს-1366-1330(კ-10) გადაწყვეტილება.

ბ) უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე - ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არ გადაუხვიოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ქცევის წესს;³⁶

გ) საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა - ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ე.წ. პირადი ინტერესებისგან აბსოლუტურად განსხვავებული, საქართველოს კანონმდებლობის წესის შესაბამისი და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს;

დ) დისკრეციული უფლებამოსილება - ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობა, კონკრეტულ პირთა ინტერესების დასაცავად გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე შესაძლებლობიდან აირჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება,³⁷ რომლითაც არ შეილახება როგორც საჯარო, ისე კერძო პირთა უფლებები.



ადმინისტრაციული წარმოება ქვეყანაში სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ უნდა იყოს მიმართული.³⁸ იგი არეგულირებს საჯარო დაწესებულებების მოქმედების წესს და ამით იცავს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ ადამიანის უფლებებს.³⁹

³⁶ ტურავა პ., ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006, 47.


³⁷ წკეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 7.

³⁸ იხ. ადგიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 230.

³⁹ იქვე.

მაგალითად, როდესაც პირი ითხოვს საჯარო ინფორმაციას კონკრეტული დაწესებულებიდან, ადმინისტრაციული ორგანო პასუხის გაცემისას მოქმედებს ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი წესის შესაბამისად.


ადმინისტრაციული წარმოების რამდენიმე სახე არსებობს: **მარტივი, ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოება**.⁴⁰ თითოეულ მათგანს გააჩნია გარკვეული თავისებურებანი. მაგალითისთვის - როდესაც პირს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განუცხადეს დაუსაბუთებელი უარი მაშინ, როდესაც მოთხოვნილი მონაცემები არ წარმოადგენდა საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და საპასუხოდ მან ადმინისტრაციულ ორგანოში, ზემდგომ თანამდებობის პირთან შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი. საჯარო დაწესებულებამ ადმინისტრაციული საჩივარი განიხილა და საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში სახეზეა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც არაფორმალური ადმინისტრაციული წარმოების სახითაც მოიხსენიება.⁴¹




ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას გააჩნია რამდენიმე თავისებურება, რომელთაგან შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას, იგი ვალდებულია (განსხვავებით მარტივი წარმოებისგან) ყველა დაინტერესებულ მხარეს აცნობოს მასში მონაწილეობის შესახებ. მაგალითად, თუ ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში თქვენც მონაწილეობთ, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოგცეთ შესაძლებლობა, წარადგინოთ თქვენი მოსაზრება ყველა მნიშვნელოვან საკითხთან და გარემოებასთან დაკავშირებით.

⁴⁰ იქვე. 231 - იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების ამომწურავ სახეს და რიგ შემთხვევებში შეიძლება სხვა სპეციალური წარმოების გამოყენება.

⁴¹ ტურავა პ., ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006, 12.



საჯარო ადმინისტრაციული წარმოება - როდესაც საჯარო დაწესებულება გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება, რომლითაც იგი გასცემს ნებართვას, კონკრეტულ ტერიტორიაზე დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები.



2.1 ადმინისტრაციული წარმოების სამართლებრივი ფორმები

ადმინისტრაციული წარმოება საჯარო დაწესებულების საქმიანობის განმსაზღვრელია. ისევე, როგორც ყველა საქმიანობას, მასაც გააჩნია შესაბამისი

სამართლებრივი ფორმები, რომელიც რამდენიმე ძირითად ნაწილად იყოფა: *ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და რეალაქტი*. აღნიშნული ჩამონათვალი მოყვანილია მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების საკითხების განხილვის ჭრილში და მასში არ იგულისხმება სამართლებრივი ფორმების ისეთი სახეები, როგორცაა - ადმინისტრაციული ხელშეკრულება თუ სხვ.⁴² განვიხილოთ თითოეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:⁴³

2.1.1 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი⁴⁴

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს ოთხ ძირითად ელემენტს:⁴⁵

1. გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
2. მისი გამოცემა უნდა გამომდინარეობდეს მოქმედი კანონმდებლობიდან (მაგალითად, სპეციალური (კონკრეტულ საკითხის მოწესრიგებაზე მიმართული) კანონის საფუძველზე);
3. იგი უნდა ეხებოდეს კონკრეტულ სუბიექტებს. მაგალითად, თუ პირს ჩამოერთვა რაიმე საქმიანობის უფლება, აქტი მხოლოდ მასზე უნდა იქნეს გამოცემული⁴⁶;
4. იგი უნდა ცვლიდეს, წყვეტდეს, აწესებდეს ან ადასტურებდეს კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს.

მაგალითად, ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქალაქ ბათუმის მასშტაბით, კონკრეტული ადგილების გარდა, აიკრძალა ნაყინით ქუჩაში ვაჭრობა. ამ შემთხვევაში სახეზეა ზემოთ დასახელებული

⁴² აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: *ჩვეპლაძე ნ., ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო*, თბილისი, 2010.

⁴³ სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

⁴⁴ სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.


⁴⁵ *ტურავა პ., ხარშილაძე ი.*, ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006, 64.

⁴⁶ მაგალითი აგებულია - *ტურავა პ., ხარშილაძე ი.*, ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006, 75.

ოთხივე კრიტერიუმი. აქტი მიმართულია პირთა კონკრეტულ წრეზე, კერძოდ გარემოვაჭრეებზე, რომლებიც ყიდიან კონკრეტულ საქონელს.

2.1.2 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი⁴⁷

განსხვავებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის მიმართული მისი ერთჯერადად გამოყენებისკენ. იგი არა მხოლოდ კონკრეტულ პირს, თუ პირთა წრეს, არამედ პირთა განუსაზღვრელ რაოდენობას ეხება.⁴⁸



2.1.3 რეალაქტი

რეალაქტი საჯარო დაწესებულების ისეთ საჯაროსამართლებრივ ღონისძიებას გულისხმობს, რომელიც ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენაა მიმართული.⁴⁹ ამის უპირველესი მაგალითია საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც საინფორმაციო ხასიათის რეალაქტი.⁵⁰ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციაზე, ვინაიდან შესაძლებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის წერილი მიწეროს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს, რაც თავისთავად ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხით ადმინისტრაცია არ გასცემს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს და მის ნაცვლად მხოლოდ ბრძანებულებების შინაარსზე უთითებს.⁵¹

⁴⁷ სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

⁴⁸ იხ. ტურავა პ., ადგიშვილი ზ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 164.

⁴⁹ წვეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 77.

⁵⁰ იხ. იქვე. 78.

⁵¹ იხ. http://www.opendata.ge/pdf_files/brdzanebulebebi.pdf

2.2 ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტები⁵²

ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტები შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს: ესენია - *ადმინისტრაციული ორგანო და კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირი.*

მაგალითად, ერთ-ერთმა სააქციო საზოგადოებამ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სამინისტრომ საჩივრის განხილვისას გამოიყენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები. როდესაც, სამინისტრო დანიშნავს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას, იგი მიიწვევს საჩივრის შემტანს, რათა იგი დაესწროს აღნიშნულ განხილვას. შესაბამისად, ერთი მხრივ, სახეზეა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო და მეორე მხრივ, სააქციო საზოგადოება. ორივე მათგანი მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2.2.1 პირი, რომელიც მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში

ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტს წარმოადგენს ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილებითა, თუ კანონით მინიჭებული ვალდებულებით მონაწილეობს საჯარო დაწესებულების მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2.2.2 ადმინისტრაციული ორგანო

ადმინისტრაციული წარმოების განსახორციელებლად აუცილებელია, რომ მასში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.⁵³ ეს არ ზღუდავს სხვა ორგანოებსაც, რომ წარმოებაში გარკვეული სახით მათაც მიიღონ მონაწილეობა.⁵⁴ იმისთვის, რომ საკითხი უფრო თვალნათლივ იქნეს წარმოჩენილი, აუცილებლად უნდა მოვახდინოთ ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიცია:

⁵² სზაკ-ის 75-ე მუხლი - ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე:

ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს:

ა) განმცხადებელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე;

გ) პირს, რომელსაც კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;

დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) დაინტერესებულ მხარეს.

⁵³ მის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული პირის სახით.

⁵⁴ ტურავა პ., ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, 2006, 26.

ადმინისტრაციული ორგანო⁵⁵ არის დაწესებულება, რომელიც საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს. იგი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მაგალითისთვის განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი,

მაგალითად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო - ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ნებისმიერი მოთხოვნის შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს, ეს დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო,

მაგალითად, ქ. თბილისის საკრებულო - ასევე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია ნებისმიერ მომთხოვნზე.


გ) კერძო სამართლის იურიდიული პირი,

მაგალითად, ა(ა)იპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი - იგი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და შესაბამისად ვალდებულია გასცეს ინფორმაცია მიღებული დაფინანსების შესახებ.

სზაკ-ის 27-ე მუხლი ახდენს საჯარო დაწესებულების დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, ან სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა).

⁵⁵ სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.



3. საჯარო ინფორმაცია

საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის.⁵⁶ მაგალითად, ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის ხელფასისა და პრემიების შესახებ, რომელიც დაცულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

3.1 საჯარო ინფორმაციის დეფინიცია

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან

⁵⁶ წკეპლაძე ნ., ადგილობრივი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 23.

მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ამგვარი სახით არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მის მომთხოვნზე გასცეს იგი სრულყოფილი სახით.⁵⁷ თავის მხრივ, იბადება კითხვა, თუ ვინ შეიძლება იყოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი კონკრეტული საჯარო დაწესებულებიდან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი სუბიექტები.

3.2 საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი სუბიექტები

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს.⁵⁸ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, პირის მოქალაქეობას, რელიგიას, სქესს, კანის ფერს, წარმომავლობას თუ შეხედულებებს; იურიდიული პირების შემთხვევაში კი მნიშვნელობა საერთოდ არ ენიჭება მათი სამართლებრივი მოწყობის ფორმას, წარმოადგენენ ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კომანდიტურ საზოგადოებას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს თუ სხვ. საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საჯარო დაწესებულებებსაც. განვიხილოთ ცალკეული მაგალითები:

ა) **ფიზიკურ პირს**, მიუხედავად თავისი შეხედულებებისა, რომელსაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წყობილების შესახებ თუნდაც დიამეტრულად განსხვავებული შეხედულებები გააჩნია, საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის საქართველოს მთავრობას;

ბ) **იურიდიულ პირს**, რომელიც წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) სუბიექტს. მაგალითად, თუ სურს მიმართოს ინფორმაციის მომთხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეყანაში მიმდინარე

⁵⁷ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის Nბს-1410-1374(კ-10) გადაწყვეტილება.

⁵⁸ სზაკ-ის 37-ე მუხლი - საჯარო ინფორმაციის მომთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მომთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

ეკონომიკური ცვლილებების თაობაზე, მისი ქმედება კანონმდებლობითაა დაშვებული და არ ექვემდებარება აკრძალვებს;⁵⁹

გ) **საჯარო დაწესებულებას, მაგალითად,** სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს, გააჩნია მართლზომიერი უფლება, მოითხოვოს სასურველი სახის საჯარო ინფორმაცია სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს, არ ეზღუდება უფლება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებით თუნდაც მისსავე ზემდგომ ორგანოს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ან საქართველოს პარლამენტს მიმართოს.



3.2.1 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება არის ადამიანის კონსტიტუციური უფლება. ქართული კანონმდებლობის თანახმად, **ინფორმაციის მოთხოვნს არ ევალება განმარტოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი.**

მაგალითად, პირს სურს გაიგოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში მომუშავეთა საერთო რაოდენობა. ხოლო ინფორმაცია მას სჭირდება მეცნიერული კვლევისთვის. საჯარო დაწესებულების სახელზე განცხადების შედგენისას, იგი არ არის ვალდებული, რომ წერილში განმარტოს ინფორმაციის გამოთხოვის მიზეზი.


3.2.2 ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება

საჯარო ინფორმაციის გაცემა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს.⁶⁰ ეს ვალდებულება შეიძლება განიმარტოს, როგორც პოზიტიური ვალდებულება, რომლითაც სახელმწიფოს ადამიანის უფლებების დაცვა ევალება.⁶¹ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ვრცელდება ყველა ადმინისტრაციულ ორგანოზე.

⁵⁹ არ იგულისხმება საიდუმლოების შემცველი მონაცემების მქონე დოკუმენტების გამოთხოვა.

⁶⁰ აღნიშნული მოწესრიგებულია სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში.

⁶¹ შეად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის N3/2909-09 გადაწყვეტილება.



3.3 ინფორმაცია, რომელიც ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია

ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶² ამგვარი შემთხვევებია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საიდუმლოების შემცველი მონაცემები, რომლის გასაჯაროებამაც პირის ან პირთა განსაზღვრულ წრეს, ასევე სახელმწიფოსა თუ ზოგადად საზოგადოების ინტერესებს შეიძლება მიაყენოს ზიანი.

ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ უთითებს იმ საკითხებზე, რომელთა საიდუმლო ინფორმაციად მიჩნევა დაუშვებელია. მაგალითად, სზაკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, *თანამდებობის პირთა შესახებ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ შეიძლება გასაიდუმლოებული იყოს საჯარო დაწესებულების მიერ*. განვიხილოთ ამგვარი შემთხვევა:

მაგალითად, მოქალაქე ითხოვს საჯარო ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ 2011 წელს მიღებული პრემიის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არის თანამდებობის პირი, საქართველოს პარლამენტის აპარატი ვალდებულია გასცეს აღნიშნული ინფორმაცია. აბსოლუტურად განსხვავებული შემთხვევა იქნებოდა, მოქალაქეს საქართველოს პარლამენტის რიგითი თანამშრომლის (არა თანამდებობის პირის) პრემიის შესახებ რომ მოეთხოვა ინფორმაცია, ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებული იქნებოდა, გაეცა ამგვარი მონაცემები მხოლოდ თანამშრომლის ნებართვის ალების შემდგომ, ვინაიდან აღნიშნული პერსონალურ ინფორმაციას შეიცავს.

⁶² წკეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 117.

3.4 საჯარო ინფორმაციის მიღების კანონიერი შეზღუდვა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ ვრცელდება ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციაზე.⁶³ ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას ღიად და გამჭვირვალედ უნდა ახორციელებდეს, თუმცა გარკვეული კატეგორიის საჯარო ინფორმაცია დახურულია რადგან შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული და პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროებას. ასეთი სახის ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში მინიჭებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი გრიფი.

3.4.1.1 პირადი საიდუმლოება⁶⁴

ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუვალია.⁶⁵ თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა არღვევს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ ადამიანის უფლებას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ამგვარი მონაცემები საიდუმლო ინფორმაციად მიიჩნიოს.⁶⁶

*პირადი საიდუმლოება სახეზეა, თუ იგი პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.*⁶⁷ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, დაეთანხმოს ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე. თუმცა, **აღნიშნული არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე** - საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამდებობის პირების შესახებ არსებულ მონაცემებს ეხება. ამგვარი ქმედება დღევანდელ პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება. საჯარო დაწესებულება ხშირად თანამდებობის პირის შესახებ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს პირად ინფორმაციას მიაკუთვნებს და ასაიდუმლოებს.⁶⁸

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აბსოლუტურად ნოვაციური ხასიათის განმარტება გააკეთა, როდესაც პერსონალური მონაცემები ორ ძირითად სახედ დაჰყო: **ჩვეულებრივი და განსაკუთრებით მგრძობიარე პერსონალური მონაცემები.**⁶⁹ სასამართლო ჩვეულებრივ მონაცემებად მიიჩნევს

⁶³ http://www.legalportal.ge/index.php?option=com_content&view=article&id=119

⁶⁴ სზაკ-ის 27¹ მუხლი - პირადი საიდუმლოება

პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 10 მარტის Nბს-430-548-კ-03 განჩინება.

⁶⁷ *წვეპლაძე ნ., ტურავა პ.*, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 119.

⁶⁸ http://www.opendata.ge/userfiles/files/parlamenti_mivlinebis%20xarjebis%20shesaxeb.pdf

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის Nბს-1278-1240(კ-08) განჩინება.

ყველა იმ მონაცემს, რომელიც საჯარო დაწესებულებაში პირის (გარდა თანამდებობის პირებისა) საქმიანობას ან სხვა ქმედებებს შეეხება, ხოლო განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევა იმ დოკუმენტებს, რომლებიც პირის შეწყალებას, ან სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს.

პერსონალური მონაცემების შესახებ არის საუბარი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ნ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, პირადი საიდუმლოება:

„პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას“

(ა) თანხმობა, სხვისი პერსონალური მონაცემების გამოთხოვისას

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნმა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას უნდა წარადგინოს შესაბამისი პირის მიერ სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა.⁷⁰ აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ განსხვავებით სხვა სახის მონაცემებისგან, პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ ექვემდებარება გაცემას, თუ სახეზე არაა კანონით დაშვებული გამონაკლისი.⁷¹

(1) პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი⁷²

⁷⁰ სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁷¹ ადგიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიამილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 268.

⁷² სზაკ-ის 43-ე მუხლი - პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან;

გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გაუთვალისწინებელი, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

სზაკ-ის 43-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას შეზღუდულია. მაგალითად, მას არ აქვს უფლება, დაამუშაოს საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის რელიგიურ მრწამსთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხები. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მხოლოდ ის მონაცემები დაამუშაოს, რომელიც პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას ეხება.

(2) პერსონალური მონაცემების საიდუმლოება - გამონაკლისი, თანამდებობის პირების შესახებ არსებული ინფორმაცია⁷³

სზაკ-ის 44-ე მუხლი სწორედ იმ გამონაკლისზე საუბრობს, რომელიც პერსონალური ინფორმაციის გაცემის წესს შეეხება. მიუხედავად საჯარო დაწესებულების ვალდებულებისა, გაასაიდუმლოოს ასეთი სახის მონაცემი. თანამდებობის პირების შესახებ არსებული პირადი მონაცემები ყველასთვის

ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას;

ზ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები

⁷³ სზაკ-ის 44-ე მუხლი - პერსონალური მონაცემების საიდუმლოება


1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

ხელმისაწვდომია. ვინ არიან თანამდებობის პირები? ვისზე შეიძლება მოითხოვოს პირმა ნებისმიერი სახის პირად მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას ეხება? ამ კითხვაზე პასუხს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დათქმა სცემს, რომლის მიხედვითაც (სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), **თანამდებობის პირი „არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი“.**

მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ შესაბამისი ცხრილი, თუ ვინ შეიძლება იყოს თანამდებობის პირი ზემოხსენებული კანონის შესაბამისად:



- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილე;
- რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;
- რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;
- მოსამართლე;
- საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;
- საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.
- საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

მოცემული ჩამონათვალიდან აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დამტკიცებული, დანიშნული ან დამტკიცებული პირის საკითხი, რომელიც აუცილებლად იმ თანამდებობაზე უნდა მუშაობდეს, რაც საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირაა გათვალისწინებული. მაგალითად, *პრემიერ-მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.*⁷⁴

(3) პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა

სზაკ-ის 45-ე მუხლის საფუძველზე, პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს, მხოლოდ პირის ინდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პირის სახელსა და გვარს, პირად ნომერს, საცხოვრებელ მისამართს და ა.შ.

მაგალითად, *სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა მესამე პირისთვის გაცნობის შემთხვევაში საჭიროა დავაში მონაწილე მხარეების პერსონალური ინფორმაციის (თუ იგი არ წარმოადგენს თანამდებობის პირს, ან ადმინისტრაციულ ორგანოს) დაშტრიხვა.*⁷⁵

(4) პირად მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება⁷⁶

⁷⁴ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷⁵ <http://www.opendata.ge/userfiles/files/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%203%E1%83%91-178-08%281%29.pdf>

⁷⁶ სზაკ-ის 46-ე მუხლი - მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება
პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას.

თუ პირის შესახებ არსებულ მონაცემებში დაშვებულია შეცდომა, ან იგი მოპოვებულია უკანონოდ, ამ პირის თანხმობის გარეშე, პირი, ვისაც ეხება აღნიშნული მონაცემები, უფლებამოსილია, მოითხოვოს მასში ცვლილებების შეტანა ან/და მათი განადგურება.

***მაგალითად.** საჯარო დაწესებულებამ პირის დაუკითხავად მოიპოვა ინფორმაცია მისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამგვარი ინფორმაციის განადგურება.*

(ბ) საჯარო დაწესებულებაში თქვენს შესახებ არსებული ინფორმაციის მიღების უფლება⁷⁷

ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მასზე არსებულ მონაცემებს ისე, რომ ისინი ხელმისაწვდომი არ გახადოს სხვა პირებისთვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს კანონმდებლობაში შესული ნოვაციური ცვლილება, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.⁷⁸ კანონის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რომლის გარანტადაც სწორედ მისი პერსონალური მონაცემების⁷⁹ გასაიდუმლოება გვევლინება. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვება შეიძლება მოხდეს უშუალოდ იმ პირის მეშვეობით, ვისზეც იქმნება მონაცემები. მაგალითად, ფიზიკური პირი თავად აწვდის მონაცემთა დამმუშავებელს კონკრეტულ ინფორმაციას. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მას აუცილებლად განუმარტოს მონაცემთა დამუშავების მიზანი.⁸⁰ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შედის 2012 წლის 1 მაისიდან.⁸¹

აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

⁷⁷ სზაკ-ის 39-ე მუხლი - პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

⁷⁸ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁷⁹ პერსონალური მონაცემების დეფინიცია: ამავე კანონის მე-2 მუხლი „ა“ ქვეპუნქტი:

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით

⁸⁰ იხ. იგივე კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸¹ იხ. იგივე კანონის დასკვნითი დებულებები: ამ კანონის 43-ე-55-ე მუხლების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2013 წლის 1 იანვარი; ხოლო 34-ე, 35-ე და 39-ე მუხლების ამოქმედების თარიღად (კერძო სექტორის მიმართ) - 2016 წლის 1 იანვარი.

3.4.1.2 კომერციული საიდუმლოება⁸²

კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები კომერციული საქმიანობის წარმართველი პირის „ნოუ-ჰაუა“. ამ კატეგორიაში არ შედის ინფორმაცია, სახელისა და გვარის შესახებ. მაგალითად, კომერციულ საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება კონკრეტული იურიდიული პირის დირექტორის, ან ხელმძღვანელის სახელი.⁸³

კომერციული საიდუმლოება მაშინ არის სახეზე, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს.⁸⁴ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს

⁸² სზაკ-ის 27² მუხლი - კომერციული საიდუმლოება

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

4. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

⁸³ ამგვარ დათქმას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის მიხედვითაც, სკოლაში არსებული ბუფეტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი ვერ იქნება კომერციული საიდუმლოების შემცველი, ვინაიდან ამით არ მიადგება პირის კონკურენტუნარიანობას ზიანი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის Nბს-102-289-კ-03 განჩინება.

⁸⁴ იხ. *წვეპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 27.

საიდუმლოების შემცველი.⁸⁵ აქედან გამომდინარე, თუ საჯარო დაწესებულება ამ მიზეზით იტყვის უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, პასუხი იქნება საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო ხასიათის და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს წარმოეშობა შეცილების მართლზომიერი უფლება.

მაგალითად: ქ. თბილისის მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის ქალაქის გამწვანებაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.

3.4.1.3 პროფესიული საიდუმლოება⁸⁶

პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს მონაცემთა ისეთ სახეს, რომელიც პერსონალურ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და რომელიც პროფესიული საქმიანობის შედეგად გამოვლინდა. პროფესიული საიდუმლოების მატარებელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო.⁸⁷

პროფესიული საიდუმლოება მოწესრიგებულია „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით ასეთ ინფორმაციას მიეკუთვნება:

აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასა და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პირადი ან კომერციული საიდუმლოება, ასევე ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას.⁸⁸

მაგალითად: ჟურნალისტმა სამსახურეობრივი საქმიანობის დროს კერძო წყაროდან მიიღო ინფორმაცია თანამდებობის პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ჟურნალისტს აქვს სრული უფლება არ გაამჟღავნოს წყაროს წარმომავლობა რადგან ეს მისი პროფესიული საიდუმლოება არის.

⁸⁵ მაგალითად, იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის Nბს-614-584(კ-07) განჩინება - აღწერილობითი ნაწილი, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2007 წლის 26 მარტის განჩინება.

⁸⁶ სზაკ-ის 27³ მუხლი - პროფესიული საიდუმლოება
პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის Nბს-614-584(კ-07) განჩინება.

⁸⁸ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=4&t=3369>

3.4.1.4 სახელმწიფო საიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოება არის – „ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.“ ასეთი სახის მონაცემებს წარმოადგენს თავდაცვის, ეკონომიკის და საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში არსებული შემდეგი საკითხები:⁸⁹

თავდაცვის სფეროში:⁹⁰

ა) სტრატეგიული და ოპერატიული გეგმები, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველი დოკუმენტები, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხები;

***მაგალითად.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნებისმიერი სამხედრო ოპერაციის მომზადებისა და ჩატარების ამსახველი დოკუმენტური მასალა. მოგეხსენებათ, ომის დროს თითოეულ მხარეს გარკვეული სტრატეგია აქვს, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა მოწინააღმდეგის წარმატებას შეუწყოს ხელი. სწორედ, აქედან გამომდინარე, ამგვარი ინფორმაცია კანონმდებლობით არის დაცული გამჟღავნებისგან.*

ბ) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე, სამეცნიერო - კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავება;

***მაგალითად.** თუ საქართველომ საკუთარი რესურსებით შეიმუშავა თავდაცვითი ტექნოლოგიის უახლესი მოდელი, მის შესახებ ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით არის აკრძალული, ვინაიდან სხვა მხრივ, სახეზე აღარ იქნებოდა ის ნოვაცია, რამაც შესაძლოა ქვეყანას თავდაცვითი მექანიზმების დანერგვაში წარმატება მოუტანოს.*

⁸⁹ იხ. ჩუკუბაძე ნ., ადვიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 24.

⁹⁰ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

გ) მონაცემები განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ;

***მაგალითად.** ე.წ. „ცხელი წერტილის“ საზღვართან, იგეგმება სამხედრო ობიექტის განთავსება. ობიექტის განთავსების კოორდინატების, მისი გეგმის და უსაფრთხოების რეჟიმის (მაგ. პოსტზე მსახურობის პერიოდი) გასაჯაროება, ხელს შეუშლის დასახული მიზნის განხორციელებას.*

ეკონომიკის სფეროში:⁹¹

ა) სახალხო მეურნეობის სამომხილიზაციო გეგმები და სიმძლავრეები, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობები, აგრეთვე, სახელმწიფო და სამომხილიზაციო რეზერვების განლაგებები და მოცულობები;

***მაგალითად.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ქართული ჯარისთვის, საგანგებო შემთხვევებისთვის, გადანახული ნედლეულის მარაგის შესახებ ინფორმაცია.*

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემები და რეჟიმი, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

***მაგალითად.** თბილისში განლაგებული სატელევიზიო ანძის დაცვის სისტემა და რეჟიმი, მისი უსაფრთხოდ ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, შესაძლებელია იყოს გასაიდუმლოებული.*

გ) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის - ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა - სახელმწიფო მარაგების კონკრეტულ სახეობათა შესახებ ინფორმაცია, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და გაყალბების თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე;

***მაგალითად.** ფულის ნიშნების დაცვის მიზნით შემუშავებული სპეციალური ღონისძიებების გეგმით, შესაძლებელი გახდა ყალბი კუპიურების გამორჩევა. თუ მოხდა აღნიშნულის გამჟღავნება, გამყალბებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, დასახონ საპირისპირო ღონისძიებები.*

საგარეო ურთიერთობათა სფეროში:⁹²

⁹¹ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტი.

⁹² იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტი.

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობები, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

***მაგალითად,** საქართველოს სახელმწიფო ინტერესია, ევროკავშირის წევრობა, ამისთვის კი ქვეყანამ აუცილებლად უნდა დადოს სავაჭრო შეთანხმება ერთ-ერთ სახელმწიფოსთან. თუ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები წინასწარ გაახმაურებენ შეთანხმების კრიტიკულ მნიშვნელობას ევროკავშირში წევრობისთვის, მაშინ არაკეთილმოსურნე სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს გარკვეული ბერკეტები შეთანხმების ჩასაშლელად.*

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხები, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს;

***მაგალითად,** საქართველოს მთავრობა სხვა სახელმწიფოსთან პარტნიორობით გეგმავს სპეციალური პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც იგეგმება კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და შემდგომ მათი დანერგვა. ხელშეკრულების დეტალების გამჟღავნებამ კი შესაძლებელია ჩაშალოს პროექტის წარმატებით განხორციელება და ზიანი მიაყენოს ქვეყნის ინტერესებს.*

დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:⁹³

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

***მაგალითად,** ქართული მხარე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აწარმოებს სადაზვერვო საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუ ამ საქმიანობის გეგმა და მეთოდები ყველასთვის გახდება ცნობილი, აღნიშნული საქმიანობა ყოველგვარ აზრს დაკარგავს.*

ბ) "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირების და ადმინისტრაციულ შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმი;

***მაგალითად,** საქართველოს პრეზიდენტის დაცვის რეჟიმის შესახებ ინფორმაცია, თუ რამდენჯერ იცვლება პოსტზე დაცვის თითოეული თანამშრომელი, ან პრეზიდენტის კორტეჟის მარშრუტი თუ სხვ.*

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემა;

⁹³ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტი.

მაგალითად, სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია.

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია;

მაგალითად, ინფორმაცია სახელმწიფო კრიპტოგრაფიული კვლევების შედეგების შესახებ.

3.4.1.5 აღმასრულებელი პრივილეგია⁹⁴

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებაში კონკრეტულ საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა, გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ მასში მონაწილე პირთა ვინაობა ყოველთვის არ ხდება საჯარო. ასეთი ინფორმაციის მესამე პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში (იგულისხმება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოთხოვნა), საჯარო დაწესებულება ვალდებულია გაასაიდუმლოს იგი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო უშუალოდ თანამდებობის პირმა.⁹⁵

მაგალითად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობდა მსჯელობა, თბილისში 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ეს დოკუმენტი გასაჯაროებულ იქნა. დოკუმენტში ფიგურირებს მხოლოდ მინისტრის სახელი, ვინაიდან სხვა მონაწილეები არ იყვნენ თანამდებობის პირები.

3.4.2 აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობა

საქართველოს კანონმდებლობა ცალკე საკითხად არეგულირებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობის შემთხვევებს. სზაკ-ის მოქმედება (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა) არ ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:⁹⁶

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ამ შემთხვევაში არ იგულისხმება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის ასლი. სისხლის სამართლის საქმის წარმოება მოიაზრებს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიებისას გამოადგებათ.

⁹⁴ სზაკ-ის 29-ე მუხლი - აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფოპოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

⁹⁵ *წკეპლაძე ნ., ტურავა პ.*, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 122.

⁹⁶ სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი.

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურიდან მიღებული პასუხი,⁹⁷ რომლითაც აღნიშნული საჯარო დაწესებულება ავტომანქანების პერსონალურ გადანაწილებასა და უძრავი ქონების ჩამონათვალს სწორედ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს მიაკუთვნებს და საჯაროს არ ხდის. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ კონკრეტული ავტომანქანების (არა თანამდებობის პირთა) პერსონალური გადანაწილება ოპერატიულ-სამძებრო მიზნებით გასაიდუმლოებული იყოს საჯარო დაწესებულების მიერ, რათა არ მოხდეს ოპერატიულ მუშაკთა იდენტიფიცირება. მაგრამ, ამავე დროს, გაუგებარია უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზი. ის თუ რა საკუთრებას ფლობს ადმინისტრაციული ორგანო და რა საბაზრო ღირებულება გააჩნია თითოეულ მათგანს, ოპერატიულ-სამძებრო მიზეზებით გასაიდუმლო, ცოტათი არალოგიკურია.

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

მაგალითად: სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გახმაურებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების აღსრულებას, აქედან გამომდინარე კანონი ზღუდავს ამგვარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემას.

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

მაგალითად. საქართველოს კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი პუნქტით, „სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად...“ ეს საქართველოს პრეზიდენტისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებაა. სამხედრო ძალის გამოყენებიდან ორი თვის შემდეგ (როდესაც ომი დასრულებულია), თუ პირმა მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი, ამ დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია იგი გასცეს მის მომთხოვნზე.

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე პირთა დანიშნვისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი:⁹⁸

⁹⁷ იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/406>

⁹⁸ წარმოდგენილია 73-ე მუხლის მხოლოდ პირველი („ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტები), მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები. ამასთან, შეგნებულად არ არის წარმოდგენილი წინამდებარე მუხლთან დაკავშირებული ის ცვლილება, რომელიც ძალაში 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან შევა.

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ბ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

გ) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

დ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

ე) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ვ) შეიწყალებს მსჯავრდებულებს.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტი ემზადება საქართველოს პარლამენტში მოხსენებით გამოსვლისთვის. სანამ პარლამენტში არ დასრულდება პრეზიდენტის მოხსენება, არავის ექნება უფლება მოითხოვოს მოხსენების ტექსტი, რომელიც საჯარო დოკუმენტია.

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან;

***მაგალითად:** საქართველოსა და ერთ-ერთ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვას ითვალისწინებს, მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ საჯარო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი მსურველისთვის შეზღუდული იქნება.*

ცალკე გამოსაყოფია სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: სზაკ-ის კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) „მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად“.

***მაგალითად:** ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი, რომელზეც არ არის მიღებული საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება. პირს არ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ამ საქმეზე არსებული სამართალწარმოების შესახებ.*

3.5 საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშის წარდგენა

სზაკ-ის 49-ე მუხლის⁹⁹ საფუძველზე საჯარო დაწესებულებას გააჩნია ვალდებულება საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს

⁹⁹ სზაკ-ის 49-ე მუხლი - ანგარიშის წარდგენა:

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

წარუდგინოს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშები, თუ რამდენი ინფორმაცია გაიცა მთელი წლის მანძილზე საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე, რამდენ პირს ეთქვა უარი საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვ.

3.6 საჯარო რეესტრი¹⁰⁰

საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა სახის ინფორმაცია აღირიცხება საჯარო რეესტრში, რომელსაც, როგორც წესი, კანცელარია აწარმოებს.¹⁰¹ მის დანიშნულებას საჯარო ინფორმაციის დამუშავება-შენახვა წარმოადგენს.¹⁰² დაწესებულებებში საჯარო რეესტრი შესაძლებელია სხვადასხვა სახის იყოს.

მაგალითად, ცალკე ჟურნალში ხდებოდა მხოლოდ ფინანსური სახის დოკუმენტაციის აღწერა, ან მიმდინარეობდა მიღებული და გასული წერილების აღწერა თუ სხვა.

არსებული პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ესმით საჯარო რეესტრის მნიშვნელობა.¹⁰³ ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშებს,¹⁰⁴ ხოლო ნაწილი საჯარო რეესტრს საერთოდ არ აწარმოებს.¹⁰⁵

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა,¹⁰⁶ რომლის მიხედვითაც

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

¹⁰⁰ სზაკ-ის 35-ე მუხლი - საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

¹⁰¹ იხ. *ჩეკელაძე ნ., ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 32.

¹⁰² *ცაცანაშვილი მ.*, ინფორმაციოული სამართალი, თბ., 2004, 65.

¹⁰³ იხ. მაგალითად, გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული პასუხი: <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/470>

¹⁰⁴ იხ. მაგალითად, სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის პასუხი, რომელიც ნაცვლად საჯარო რეესტრისა, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშების შესახებ გასცემს ინფორმაციას - http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/text_info/id/2597

¹⁰⁵ იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/451>

¹⁰⁶ *მენაბდე ვ., შალამბერიძე ა., თოდუა თ.*, და სხვ. ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წწ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011, 64.

საჯარო დაწესებულებაში არსებული მხოლოდ ის ინფორმაციაა ყველასთვის ხელმისაწვდომი, რომელიც დაწესებულების მიერ საჯარო რეესტრში სავალდებულო სახითაა შეტანილი,¹⁰⁷ ხოლო ის მონაცემები, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეიტანა საჯარო რეესტრში, არ ექვემდებარება გაცემას.¹⁰⁸

რა სახის მონაცემები უნდა იქნეს შეტანილი საჯარო რეესტრში? დღევანდელი სასამართლო პრაქტიკა ამ კითხვას შემდეგ პასუხს სცემს: „**ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით**“¹⁰⁹ – ამ მუხლის საფუძველზე სასამართლო ე.წ. დაუმუშავებელ ინფორმაციად იმ ინფორმაციას თვლის, რომელიც საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო რეესტრში შეტანილი არაა.¹¹⁰

*ამ მეტად არასასიამოვნო მაგალითიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის უფლება საერთოდ არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული და აღნიშნული არგუმენტაციის მოშველიებით ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლება, ინფორმაციის გაუცემლობა ანალოგიური მიზეზით „ახსნას“.*¹¹¹

3.7 საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

სზაკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე **საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა.** ამასთან ერთად, ამ საჯარო მოხელის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოქალაქისთვის.¹¹² საჯარო მოხელემ აღნიშნული თანამდებობა შეიძლება შეუთავსოს სხვა თანამდებობასაც,¹¹³ რაც უკვე უშუალოდ საჯარო დაწესებულების შიდა რეგულირების სფეროა.

¹⁰⁷ იხ. იქვე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მაისის N38/685-10 განჩინება.

¹⁰⁸ იხ. იქვე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის N38-1697-07 გადაწყვეტილება.


¹⁰⁹ „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

¹¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N3/3646-22 გადაწყვეტილება.

¹¹¹ იხ. მაგალითად, http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/text_info/id/2646

¹¹² იხ. *წვეპლაძე ნ., ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ.*, ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 34.

¹¹³ მაგალითად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია - http://www.opendata.ge/pdf_files/lazika_kancelaria.pdf



4. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი ვალდებულია მოთხოვნა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით.

მაგალითად, თუ საჯარო ინფორმაციას ითხოვს იურიდიული პირი, აუცილებელია, რომ განცხადებას ხელს აწერდეს ამავე დაწესებულების ის თანამშრომელი, რომელიც იურიდიულ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს.


4.1 განცხადების წარდგენა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას“.¹¹⁴ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული წერილობითი ფორმის კონკრეტული სახე. მიუხედავად ამისა, განცხადების სწორად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სზაკ-ის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები იქნეს დაცული.¹¹⁵ განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- გ) მოთხოვნას;
- დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

¹¹⁴ სზაკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი.

¹¹⁵ იხ. სზაკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილი - განცხადების შინაარსი



საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენისთვის წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით გაგზავნილი წერილების ნიმუშებს. იხილეთ ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ წარდგენილი მოთხოვნები (თანმიმდევრობა დაცულია):

04 იანვარი 2011წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე, 37-ე, 38-ე, მე-40 და 44-ე მუხლების თანახმად, გთხოვთ მომაწოდოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 04 დეკემბერს, ქ. ზუგდიდში გამოცხადებული ინიციატივის

განსახორციელებელი (ახალი ქალაქის - ლაზიკის მშენებლობა) საპროექტო გეგმის ან აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტის ასლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ დაუყოვნებლივ.

გაცნობებთ, რომ მზად ვარ, გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

განცხადებას არ გააჩნია თანდართული საბუთების სია.

პატივისცემით,
სერგი ჯორბენაძე
მისამართი: თბილისი, მაჭავარიანის 4
ტელეფონი: 2 99 63 64

№20120111

04 იანვარი 2012წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე, 37-ე, 38-ე, მე-40 და 44-ე მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 04 დეკემბერს, ქ. ზუგდიდში გამოცხადებული ინიციატივის განსახორციელებელი (ახალი ქალაქის - ლაზიკის მშენებლობა) საპროექტო გეგმის ან აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტის ასლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

განცხადებას არ გააჩნია თანდართული საბუთების სია.

პატივისცემით,

დირექტორი

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

4.1.1 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შინაარსი

ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს **ნებისმიერი სახის** საჯარო ინფორმაცია. **მაგალითად**, *ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული ავტომანქანების სახელმწიფო ნომრების ჩამონათვალი წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას და საჯარო დაწესებულებას მისი გასაჯაროება კანონით ეკრძალება. ეს არ გამორიცხავს დაინტერესებული მოქალაქის უფლებას, მოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია.* ამ შემთხვევაში უკვე საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება, რომ შეზღუდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თუ მოთხოვნა ეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ პირად, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შინაარსი თემატურად შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი, მაგალითის სახით მოვიყვანთ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ხშირად მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

მოქალაქეს შესაძლებელია აინტერესებდეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯების შესახებ. **მაგალითად** *კონკრეტულ კულტურულ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი,¹¹⁶ ან ინფორმაცია საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ გარკვეული მომსახურებისთვის დახარჯული თანხების შესახებ.* განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები:

¹¹⁶ იხ. ქ. ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რომელიც საახალწლო ღონისძიებების ჩატარებას ეხება - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/497>

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თანამდებობის პირთა, ტელეფონით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები.¹¹⁷ **მაგალითად,** გამგებლის მიერ მობილური ტელეფონით საუბრისთვის გაწეული ხარჯები, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ როგორც ავტომანქანის სარგებლობისთვის გაწეული საწვავის ხარჯები, ასევე ავტომანქანის მომსახურებაზე (შეკეთება თუ სხვ.) დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია, ან თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური გადანაწილების შესახებ მონაცემები.¹¹⁸

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საჯარო დაწესებულების ბიუჯეტით დაფინანსებული, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.¹¹⁹

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოებას. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლება ნებისმიერ საკითხზე, თუ მას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო. **მაგალითად,** საქართველოს მოქალაქეობის მინისტრის თაობაზე საჯარო ინფორმაცია (საერთო სტატისტიკური მონაცემები),¹²⁰ პირველკლასელთა კომპიუტერებისთვის სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხების ოდენობა,¹²¹ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისთვის გაწეული ხარჯები,¹²² შენობების სარესტავრაციო ხარჯები,¹²³ საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების შესახებ ინფორმაცია¹²⁴ და სხვ.¹²⁵

¹¹⁷ იხ. მაგალითად, სსიპ - დაცვის პოლიციის მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/277>

¹¹⁸ იხ. მაგალითად, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული ინფორმაცია, რომელიც ავტოპარკის ხარჯებს შეეხება - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/307> - მიუხედავად იმისა, რომ პასუხი მთლიანობაში არასრულყოფილადაა მოწოდებული, მასში შეიძლება ნიმუშის სახით ამოვიკითხოთ ის, თუ როგორ გასცემს საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე ავტომანქანის საწვავზე დახარჯული თანხების შესახებ საჯარო ინფორმაციას.

¹¹⁹ იხ. მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომლითაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ცალ-ცალკე მიეწოდა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/491>

¹²⁰ http://www.opendata.ge/pdf/files/samoqalaqo_reestri_moqalaqeoba.pdf

¹²¹ http://www.opendata.ge/userfiles/files/ganatileba_kompiuterebi.pdf

¹²² http://www.opendata.ge/userfiles/files/gamocdebiscentri_erovnuli%20gamocdebis%20xarjebi.pdf

¹²³ <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/475>

¹²⁴ http://www.opendata.ge/userfiles/files/prezidenti_vizitebi.pdf

¹²⁵ მაგალითად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია, რომელიც ტყიბულქალაქობის ჩატარების შესახებ გაწეულ მომსახურებისა თუ სხვა ხარჯებს შეეხება. http://www.opendata.ge/userfiles/files/tkibuli_tkibulkalakoba.pdf



4.1.2 მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბება

საჯარო ინფორმაციის მიღებისთვის აუცილებელია კონკრეტული მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბება. **მაგალითად**, თუ პირს განცხადებაში უწერია, რომ მას სურს მიიღოს საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ხარჯის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანო იქნება ვიზიკურად შესაძლებლობას მოკლებული, გასცეს შესაბამისი საჯარო ინფორმაცია, ვინაიდან სახეზე არ იქნება წარმოდგენილი დაკონკრეტება, თუ რეალურად რა სახის საჯარო ინფორმაციის მიღება სურს პირს. ამიტომ, აუცილებელია, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გამართულად იქნეს ჩამოყალიბებული და იყოს დაკონკრეტებული.

4.2 საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება

საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევა შეუძლია თავად საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.¹²⁶ საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა

¹²⁶ წკეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 115.

სახის: ქალაქზე დაწერილი, მაგნიტურ ლენტზე არსებული, ვიდეო გამოსახულება და სხვ.¹²⁷

საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმის არჩევა არ უნდა მოხდეს საჯარო დაწესებულების მიერ, რაც სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირი შემთხვევაა.¹²⁸ კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სასამართლოც კი ხშირად, ამგვარ უფლებამოსილებას, თვითონ ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს.¹²⁹

4.3 საჯარო ინფორმაციის მიღების მიზანი

*საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი არ არის ვალდებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას უთითებდეს მის მოტივსა და მიზანს.*¹³⁰ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით. *მაგალითად, სამეცნიერო კვლევისთვის, სტატისტიკისთვის, ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად ან უბრალოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. სამართალწარმოებისთვის მნიშვნელოვანია არა გამოვლენილი ნების საფუძველი, არამედ საჯარო დაწესებულების ვალდებულება გასცეს ინფორმაცია, მოთხოვნის მოტივის მიუხედავად.*

5. საჯარო ინფორმაციის გაცემა

სამართლიან სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის გაცემა სახელმწიფოს მიერ უმაღლეს ხარისხში უნდა იყოს აყვანილი.¹³¹ ინფორმაციის თავისუფლების მომაწესრიგებელი სამართლის ნორმების უპირველესი დანიშნულება სწორედ საჯარო დაწესებულების დავალდებულებაა, გასცეს შესაბამისი დოკუმენტები.¹³²

5.1 ვადები

სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, *საჯარო ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა.*¹³³

¹²⁷ ჩკეპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 35.

¹²⁸ იხ. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/424> - ამ პასუხით სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის უფლება დაარღვია.

¹²⁹ მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის N3/3935-11 გადაწყვეტილება.

¹³⁰ ადგიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 266.

¹³¹ იხ. <http://www.mehr-demokratie.de/informationsfreiheit.html>

¹³² შეად. ადგიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 266.

¹³³ სზაკ-ის მე-40 მუხლი - მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა

მაგალითად, პირმა 2011 წლის 10 ნოემბერს საჯარო დაწესებულებაში ფოსტით გააგზავნა წერილი და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია. საჯარო დაწესებულებაში აღნიშნული განცხადება დარეგისტრირდა 14 ნოემბერს. 15 ნოემბერს საჯარო დაწესებულებამ გამოაგზავნა პასუხი, რომელიც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს 18 ნოემბერს ჩაბარდა.¹³⁴ ამ შემთხვევაში სახეზეა ვადების დაცვა.

5.1.1 საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა და 10 დღიანი ვადა

როდესაც ვსაუბრობთ ტერმინზე - საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ვადებზეა ამ შემთხვევაში საუბარი. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი არ განმარტავს დაუყოვნებლივ გაცემის ცნებას, ასეთ პერიოდად გონივრული ვადები უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ვფიქრობთ უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა იმავე დღეს ან განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მეორე დღეს გულისხმობს.¹³⁵

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის 10 დღიანი ვადა სჭირდება.¹³⁶ კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.¹³⁷

10 დღიანი ვადის მოთხოვნის უფლება საჯარო დაწესებულებას მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისას აქვს. კერძოდ, თუ:

- საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა განცხადება, რომლითაც პირი ითხოვს დასავლეთ საქართველოში არსებული მისი ერთ-ერთი

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

¹³⁴ იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/539>

¹³⁵ ჩვენამდე ნ., ადგილობრივი ზ., ფოსტით ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწამე გ., კობალაიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 38.

¹³⁶ იხ. მაგალითად, http://www.opendata.ge/userfiles/files/reintegracia_vada0001.pdf

¹³⁷ მაგალითად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელმაც წერილის მიღებისთანავე მოითხოვა 10 დღე <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/111>

სტრუქტურული ქვედანაყოფის შესახებ ინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა სხვა დასახლებული პუნქტიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას საჭიროებს, სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს 10 დღიანი ვადის მოთხოვნის თაობაზე.

- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

მაგალითად. სსიპ - სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატში) შევიდა განცხადება, რომლითაც პირმა, საქართველოს მასშტაბით მოითხოვა კონკრეტულ ფაქტებზე არსებული ინფორმაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღწერა. თუ დაწესებულებას ეს ინფორმაცია არ აქვს დამუშავებული, მაშინ მას შეუძლია ისარგებლოს 10 დღიანი ვადით და ვადის გაგრძელების შესახებ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

მაგალითად. სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართა პირმა და მოითხოვა გურიის მხარეში, 2011 წელს დაქორწინებულ პირთა სრული ოდენობა. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო დაწესებულებას პასუხის გასაცემად საჭირო იყოს სტრუქტურული ერთეულიდან ინფორმაციის გადამოწმება, საჯარო დაწესებულებას შეუძლია მოითხოვოს 10 დღიანი ვადა საჯარო ინფორმაციის გასაცემად.

5.1.2 საჯარო ინფორმაციის შექმნა/დამუშავება

რა სხვაობაა საჯარო ინფორმაციის შექმნასა და დამუშავებას შორის? გულისხმობს თუ არა თავის მხრივ საჯარო ინფორმაციის შექმნა საჯარო ინფორმაციის დამუშავებას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება სურს.

მაგალითად. საჯარო დაწესებულება ითხოვს 10 დღიან ვადას საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის იმ მიზეზით, რომ მონაცემები არ არის ერთ დოკუმენტად წარმოდგენილი და საჭიროებს დამუშავებას. დამუშავების შედეგი იქნება ახალი დოკუმენტის შექმნა, რომელიც წარმოდგენილი იქნება დამუშავებული მონაცემებისგან. ჩნდება კითხვა, არის თუ არა დამუშავების შედეგად მიღებული დოკუმენტი შექმნილი საჯარო ინფორმაცია? პასუხი, წესით, დადებითი ხასიათის უნდა იყოს, მაგრამ ამ მოსაზრებას საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ეწინააღმდეგება,¹³⁸ რადგან არსებული პრაქტიკით, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ გარკვეული დოკუმენტების შეგროვება უნდა მოხდეს მათი მხოლოდ მექანიკური თავმოყრის გზით და არა მონაცემების ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტების შექმნით.¹³⁹

¹³⁸ იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის N3/3935-11 გადაწყვეტილება.

¹³⁹ http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/57

როგორც ჩანს, სასამართლო ამკვიდრებს ახალ ტერმინს: ლოგიკურ სინთეზს. მის დეფინიციას კი ახალი დოკუმენტის შექმნა წარმოადგენს.¹⁴⁰ აქედან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებას აქვს უფლება მხოლოდ შეაგროვოს არსებული დოკუმენტები, ერთი ნიშნის ქვეშ გააერთიანოს ისინი და არ ეკისრება სხვა ვალდებულება. აღნიშნული ლოგიკით გამოდის, რომ თუ თქვენ მაგალითად, მოითხოვთ მინისტრის მიერ 9 თვის განმავლობაში ავტომანქანის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს არ გასცეს აღნიშნული ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ მას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიღებამდე არ ჰქონდა შექმნილი დოკუმენტი, სადაც დაჯამებული ექნებოდა 9 თვის მონაცემი და აქედან გამომდინარე მოუწევს 9 თვის ხარჯის დაჯამება ერთ დოკუმენტში, ანუ ახალი დოკუმენტის შექმნა. შესაბამისად, თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ მოითხოვოთ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (9 თვე) ავტომანქანის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის აღრიცხვის დოკუმენტაცია და თავად დააჯამოთ ეს მონაცემები.

ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპებთან. ამავე დროს, სზაკ-ის მე-40 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებამ საჯარო ინფორმაციის გასაცემად 10 დღიანი ვადა შეიძლება მოითხოვს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებისა და დამუშავებისთვის. როგორც ვხედავთ, აქ თვალნათლივ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული დოკუმენტების მოძიება და მათი დამუშავება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დოკუმენტების დამუშავებაში იგულისხმება, სწორედაც, რომ მათში ასახული მონაცემების დამუშავება და არა მხოლოდ მათი ერთად თავმოყრა ან აკინძვა, ანუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის მიღებისას საჯარო დაწესებულებას აქვს კანონით დარეგულირებული ახალი დოკუმენტის შექმნის უმნიშვნელოვანესი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სზაკ-ის ინფორმაციის თავისუფლების თავი კარგავს მნიშვნელობას და საჯარო დაწესებულების ვალდებულება მხოლოდ მექანიკური ქსეროკოპირებით შემოიფარგლება.

5.2 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია, თუ იგი საიდუმლო მონაცემებს შეიცავს. თუმცა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული. სხვა შემთხვევაში სახეზე იქნება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული პასუხი.¹⁴¹ საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო

¹⁴⁰ იხ. აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N3/3646-11 გადაწყვეტილება - http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/56


¹⁴¹ იხ. მაგალითად, სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს - http://www.opendata.ge/userfiles/files/07_06_11%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები.

5.2.1 ვადები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში

სზაკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.**¹⁴² კანონმდებელი სიტყვაში - დაუყოვნებლივ, გულისხმობს გონივრულ ვადებს, რომელიც სამ სამუშაო დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ამგვარი ვარაუდის საფუძველია ამავე მუხლის მეორე ნაწილში არსებული დათქმა, რომლის მიხედვითაც, საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მომენტიდან სამ დღეში განუმარტავს პირს თავის უფლებებსა და გასაჩივრების წესს.

მაგალითად, თუ პირი ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსგან საჯარო ინფორმაციას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. აღნიშნულის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უარი უთხრას საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ინფორმაციის გაცემაზე. გარდა ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად უნდა აუხსნას პირს გასაჩივრების რა შესაძლებლობა აქვს მას ამ შემთხვევაში.



¹⁴² სზაკ-ის 41-ე მუხლი - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

5.2.2 უარის თქმის დაუშვებლობა

საქართველოს კანონმდებლობა აწესებს ინფორმაციის იმ სახეებს, რომელთა გასაჯაროებაც დაუშვებელია. ამავე დროს, საქართველოს კანონმდებლობა საზღვრავს მონაცემთა იმ კატეგორიასაც, რომელთა გასაიდუმლოებაც დაუშვებელია და რომელიც საჯარო ინფორმაციის ნებისმიერმა მომთხოვნმა აუცილებლად უნდა მიიღოს.

კერძოდ, საჯარო დაწესებულებას არ აქვს უფლება გაასაიდუმლოს ინფორმაცია, თუ იგი ეხება შემდეგ მონაცემებს:¹⁴³

(ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას

მაგალითად, პირმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროდან მოითხოვა ინფორმაცია გუდაური-კობის მონაკვეთზე პროგნოზირებული მეტეოროლოგიური პირობების შესახებ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის მომთხოვს შეუძლია არ მიუთითოს, რა მიზნით მოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ ინფორმაციის გასაიდუმლოებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას ადამიანთა სიცოცხლეს.

(ბ) საჯარო დაწესებულების ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

მაგალითად, პირმა მოითხოვა დოკუმენტი, სადაც ასახულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და საქმიანობის პრინციპები. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ გასცეს ინფორმაცია.

(გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

მაგალითად, პირმა მოითხოვა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესი. საჯარო დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

(დ) იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება

მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ან მინისტრის მონაცემები, მათი სამსახურებრივი კოორდინატები.¹⁴⁴

¹⁴³ სზაკ-ის 42-ე მუხლი.

¹⁴⁴ იხ. მაგალითად, http://www.opendata.ge/#!cat/text_info/id/703/lang/ka

(ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები

მაგალითად, საჯარო დაწესებულებაში კონკრეტულ საკითხზე (რომელიც არ მოიცავს საიდუმლოების შემცველ მონაცემებს) კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილების შედეგის შესახებ ინფორმაცია.

(ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია

მაგალითად, თბილისის მერის საარჩევნო შტაბის მიერ გაწეული ხარჯები და ღონისძიებების ჩამონათვალი.

(ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს

მაგალითად, თუ საჯარო დაწესებულება წარმოადგენს მხარეს კონკრეტულ ადმინისტრაციულ საქმეში, მოთხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ პირს აუცილებლად უნდა ეცნობოს ამ საქმის დეტალების შესახებ (მოსარჩელე მხარის შესახებ ინფორმაცია დაშტრიხული სახით იქნება გაცემული).¹⁴⁵

(თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი

მაგალითად, ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო რეესტრზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ.

(ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი

მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიში, სადაც ასახულია თუ რა საჯარო ინფორმაცია გასცა კონკრეტულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ.¹⁴⁶

(კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე

¹⁴⁵ მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ადმინისტრაციულ საქმეზე - <http://www.opendata.ge/userfiles/files/2004%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%2018%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

¹⁴⁶ მაგალითად, სსიპ - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ანგარიშები - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/437>

მაგალითად, პირმა მოითხოვა საჯარო დაწესებულებაში საკუთარ თავზე დაცულ მონაცემებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. მას სურს გაიგოს მოთხოვნის შედეგები, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს აღნიშნული ინფორმაცია.

(ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს

მაგალითად, იმ პირთა თანამდებობები, რომელთაც შეუძლიათ გაეცნონ საჯარო რეესტრში შეტანილ პერსონალურ მონაცემებს.

(მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია

მაგალითად, პირთა წრე, რომელთა შესახებაც კონკრეტული საჯარო დაწესებულება აგროვებს შესაბამის ინფორმაციას. შესაძლებელია, ეს ინფორმაცია საიდუმლოების შემცველი იყოს, მაგრამ პირთა კატეგორიის დასახელება მის გასაჯაროებას ხელს არ უშლის.


(ნ) თანამდებობის პირების შესახებ არსებული ინფორმაცია¹⁴⁷

მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

(ო) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასცეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს.

¹⁴⁷ სწავ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი.



5.3 საჯარო ინფორმაციის გაცემის სახეები

საჯარო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მისი მიღების საშუალებებიც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საჯარო ინფორმაციის გაცემა რამდენიმე ძირითად სახედ დაიყოს.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საქმიანობის პრაქტიკაში გამოიყო საჯარო ინფორმაციის გაცემის ოთხი ძირითადი სახე, რომელზეც აგებულია საქართველოში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული სახეებია:

ა) სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია.

ბ) არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია.

გ) სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

დ) უმოქმედობა/იგნორირება.

5.3.1 სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემის ეს სახე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო დაწესებულების მიერ კანონის ნორმათა დაცვით, აბსოლუტურად ყველა საკითხზე გაცემულ პასუხს წარმოადგენს.¹⁴⁸ ერთი მხრივ, შესაძლებელია აღნიშნული შემთხვევა სუბიექტური კუთხით იქნეს განხილული, მაგრამ ამომწურავად გაცემული საჯარო ინფორმაცია მხოლოდ მაშინ იქნება სახეზე, თუ პასუხი მოთხოვნის ყველა დეტალს დააკმაყოფილებს.

5.3.2 არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემის აღნიშნული სახე ადმინისტრაციული ორგანოს ისეთ ქმედებას გულისხმობს, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქცევის წესს არღვევს და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე არ გასცემს ამომწურავ პასუხს.

პრაქტიკაში ამგვარი შემთხვევა საკმაოდ ხშირი ხასიათისაა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულ მაგალითს საჯარო დაწესებულების მიერ შესაბამის ინტერნეტ-ბმულებზე გადამისამართება წარმოადგენს.¹⁴⁹ იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს გააჩნია საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლება, თუ მან ინფორმაცია მატერიალური სახით მოითხოვა, ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად მატერიალური სახით უნდა გასცეს ინფორმაცია.¹⁵⁰

¹⁴⁸ იხ. მაგალითად, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პასუხი, რომლითაც ინსტიტუტის მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გაცემა <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/119>

¹⁴⁹ იხ. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხი, რომლითაც იგი შესყიდვების შესახებ საჯარო ინფორმაციას არ გასცემს <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/424>

¹⁵⁰ იხ. მაგალითად, Kulesza E., Das Recht der Buerger auf Information ueber die Taetigkeit der oeffentlichen Stellen. <http://www.brandenburg.de/media/2628/Kulesza051117.pdf>, 6-7.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2011 წლის კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოვიდა 8 განცხადება. 6 განცხადებაზე გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია, 1-ზე გაიგზავნა შუალედური პასუხი (ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის თხოვნით), ხოლო 1 განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და განმცხადებელს ეცნობა, რომ წერილი გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

აბსოლუტურად განსხვავებულ დათქმას აკეთებს ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მიიჩნევს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია, შეიძლება უკვე გაცემული ინფორმაციის სახედ ჩაითვალოს.¹⁵¹

პრაქტიკაში, არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია სახეზე არ იქნებოდა, საჯარო დაწესებულებები ჯეროვნად რომ ასრულებდნენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს.¹⁵²

არასრულყოფილად უნდა ჩაითვალოს პასუხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჯარო დაწესებულება მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს გასცემს.¹⁵³ მაგალითად, როდესაც პირი ითხოვს საქსტატიდან საქართველოს მასშტაბით 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობას, თუ საჯარო დაწესებულებამ მხოლოდ 2008 წლის მონაცემები გასცა, მიწოდებული ინფორმაცია არასრულყოფილი იქნება.

იხ. მაგალითად, პასუხი, რომელშიც ნაცვლად საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტებისა, მხოლოდ მათი რაოდენობაა მოცემული:

5.3.3 სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

ზოგადად უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. **მაგალითად,** *თუ პირი ითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და თუ მოთხოვნილი ინფორმაცია საიდუმლოების შემცველია, სამინისტრო უფლებამოსილია არ გასცეს იგი. მიუხედავად ამისა, მან პირს უნდა მიაწოდოს გასაიდუმლოებული მონაცემებისთვის მინიჭებული გრიფის ნომერი. ამგვარი პასუხი წარმოადგენს სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციას.*

¹⁵¹ http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/57; ასევე იხილეთ გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის N3-112 გადაწყვეტილება, რომელიც შეწყვეტილ იქნა დავის საგნის არარსებობის გამო.

¹⁵² მაგალითად, აწარმოებდნენ საჯარო რეესტრს კანონის შესაბამისად, რაც მათ საჯარო ინფორმაციის გაცემაში დაბრკოლებას არ შეუქმნიდა - იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის N3ბ-1697-07 გადაწყვეტილება.

¹⁵³ <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/168>

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რა შეიძლება იყოს სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი? განვიხილოთ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოვლენილი რამდენიმე მაგალითი:

ა) *სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პასუხი*

№ 812, 6.06.2011 წელი

თავდაცვის სამინისტრო, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის იურისტი **დავით ლომსიანიძე**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს **ბატონ გიორგი კლდიაშვილს**

მოგახსენებთ რომ კადეტთა სამხედრო ლიცეუმი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად ს.ს.ი.პ კადეტთა სამხედრო ლიცეუმს არ გააჩნია უფლება დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

ბ) *სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის პასუხი*

№ 567/11 23.05.2011

გამოცდების ეროვნული ცენტრი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი **სოფიო გიორგაძე**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს **ბატონ გიორგი კლდიაშვილს**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2011 წლის 19 მაისის №201105233 №201105234 №201105235 №201105236 (19.05.11 №2276/11, №2274/11, №2275/11, №2273/11) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წელს სსიპ-გამოცდების ეროვნული ცენტრი პირველად ატარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. სკოლის გამოსაშვები გამოცდები შედგება სამი ეტაპისგან (საცდელი გამოცდები 18-21 მაისი, უშუალოდ გამოცდები 23 მაისი - პირველი ივნისი და გამოცდების შემდგომი პერიოდი (სარეზერვო დღეები და დამატებითი გამოცდა 4-11 ივნისი). მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცენტრი,

მთელი თავისი თანამშრომლებით, ჩართულია გამოცდის ჩატარებისა და დაგეგმვის პროცესში. ამასთან, გაცნობებთ, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდების დასრულებისთანავე იწყება ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდები, რომელიც აგრეთვე მოითხოვს ცენტრის მტელი რესურსის მობილიზებას. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგვისტომდე თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ცენტრში მოძიება, დამუშავება და თქვენთვის მოწოდება წარმოუდგენელია.

ამასთან, წარმოგიდგენთ იმ ინფორმაციას, რომელიც არ საჭიროებს მოძიებასა და დამუშავებას. კერძოდ, თქვენი №201105233 წერილის პირველი და მე-2 პუნქტი:

1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი - მაია მიმინოშვილი.

საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გამოცდების ეროვნული ცენტრის იურისტი - სოფიო გიორგაძე (T- 43-94-09)

გ) საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მარგარიტა სიხარულიძე**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს **ბატონ გიორგი კლდიაშვილს**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2011 წლის 2 მაისის № 20110534, 20110536 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფოებრივი უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და

თავისუფლების დასაცავად.

აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არის ოფიციალურ ჩანაწერებში აღნიშნულ თანამდებობის პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემი - ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების უფლებაც ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვები.

დ) სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს **ბატონ გიორგი კლდიაშვილს**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2011 წლის 10 მაისის №201105127, №201105128, №201105129, №201105130 განცხადებების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ნოტარიუსთა პალატა შექმნილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე კანონისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა 2010 წლის 27 მარტის საერთო კრებაზე დამტკიცებული „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდების“ შესაბამისად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა არის თვითმმართველობის პრინციპით აგებული ნოტარიუსების გაერთიანება და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას. ნოტარიუსთა პალატა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტი იქმნება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობის გადასახადებითა და სხვა შემოსავლებით, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში.

„ნოტარიუსთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე. ასევე საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატის თანამშრომლები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს.

საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, საჯარო სამსახური ეს არის (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება) სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

ასევე გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო არ ვრცელდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე.

ვინაიდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ ექცევა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოქმედების სფეროში, თქვენს წერილებში მითითებულ ინფორმაციებს ვერ მივიჩნევთ საჯარო ინფორმაციებად.

სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმმა პასუხში მიუთითა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ნომერი. მას არ დაუკონკრეტებია სამართლებრივი აქტის მიღების თარიღი; არ განუმარტავს, თუ რის საფუძველზეა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია საიდუმლოების შემცველი, არ მიუთითებია გრიფის ნომერი და სხვ.

სსიპ - გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საჯარო ინფორმაციის არგაცემის მიზეზად დაასახელა თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკი (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების სახით), რაც თავისთავად სამართლებრივად დასაბუთებულ პასუხს არ წარმოადგენს.

საინტერესოა სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის პასუხი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე.¹⁵⁴ ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებით, იგი არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ვალდებულების მქონე ორგანოს (ნოტარიუსთა პალატამ ამ შინაარსის წერილი ინსტიტუტს ორჯერ გაუგზავნა).¹⁵⁵ ზემოაღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარს წარმოადგენს საჯარო დაწესებულების პასუხი, რომლითაც იგი სრულიად დაუსაბუთებელ მიზეზს ასახელებს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობას და ამით არღვევს საქართველოს კანონმდებლობის

¹⁵⁴ სწორედ ამ პასუხის შედეგად დაიწყო სასამართლოში საქმის წარმოება ინსტიტუტმა. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული საქმე N3/7735-11.

¹⁵⁵ სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის მიერ სარჩელზე უარის თქმის სანაცვლოდ, ამ ადმინისტრაციულმა ორგანომ აიღო ვალდებულება IDFI-ისთვის მიეწოდებინა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რაც შეასრულა.

შესაბამის ნორმებს. ისევე, როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი პასუხის გაცემისას, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარიც წერილობითი სახით უნდა იქნეს საჯარო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი.

5.3.4 იგნორირება¹⁵⁶

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში სახეზეა საჯარო დაწესებულების უმოქმედობა, რომლითაც იგი საქართველოს კანონმდებლობას არღვევს და ქმედების განხორციელებისგან თავს იკავებს. საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი რჩება გაურკვეველობაში ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, თუ ჯერ არ აქვს იგი მიღებული წარმოებაში.¹⁵⁷

მაგალითად, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართა საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის წერილით. დაწესებულებამ საერთოდ არ გასცა პასუხი ამ მოთხოვნას. მან არც ის დააფიქსირა, რომ თავი შეიკავა საჯარო ინფორმაციის გაცემისგან და არც უარი აცნობა საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს.¹⁵⁸

6. ზიანის ანაზღაურება

სახელმწიფო ფლობს თქვენს შესახებ (თქვენ არ წარმოადგენთ თანამდებობის პირს) პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას და ნებისმიერ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე გასცემს მას თქვენგან დაუკითხავად. თქვენ თვლით, რომ ილახება თქვენი უფლებები, ვინაიდან საჯარო დაწესებულება საკუთარი სურვილისამებრ იყენებს თქვენს პირად მონაცემებს, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა.¹⁵⁹ *თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, იქნება ის ქონებრივი თუ არაქონებრივი სახის.¹⁶⁰*

¹⁵⁶ ტერმინი - იგნორირება, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გაწერილი არა არის და მას არც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყენებენ. თუმცა, ნაშრომის მიზანი სწორედ იმას წარმოადგენს, რომ მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის სისტემატიზაცია და იგი დაყოფილ იქნეს კონკრეტულ კატეგორიებად. იგნორირება კი ის შემთხვევაა, როდესაც საჯარო დაწესებულებას საერთოდ არ აქვს სურვილი, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებანი და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს არც გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აწვდის, არც პასუხობს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე და არც საინფორმაციო სახის დოკუმენტს არ გასცემს.

¹⁵⁷ იგულისხმება კანონმდებლობით დადგენილი ვადების გასვლის შემდგომი პერიოდი.

¹⁵⁸ იხ. მაგალითად, <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/191>

¹⁵⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1987 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander V. Sweden). მითითებულია - ხუბუა გ, იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 359.

¹⁶⁰ წკეპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 60.

6.1 ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება¹⁶¹

ნებისმიერ პირს, რომელსაც არ მიეწოდა საჯარო ინფორმაცია, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საქართველოს კანონმდებლობა ამგვარი შესაძლებლობის რამდენიმე სახეს იცნობს. კერძოდ, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის დაყენება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

მაგალითად. პირი ითხოვს საჯარო ინფორმაციას ბიუჯეტის ბალანსის ასიგნებების ხარჯვის შესახებ. საჯარო დაწესებულება ამ ინფორმაციას ასაიდუმლოებს და მას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებად მიიჩნევს. თუ პირი ჩათვლის, რომ ამ ინფორმაციის არმიწოდებით დაირღვა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის უფლებები, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

მაგალითად. პირის შესახებ საჯარო რეესტრში შეტანილი იქნა არასწორი ინფორმაცია, რომლითაც ამ პირს მიადგა არაქონებრივი ზიანი, შეილახა მისი პატივი, ღირსება თუ საქმიანი რეპუტაცია. მას აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით კონკრეტული განცხადების დაყენების უფლება.

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე, მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

მაგალითად. საჯარო დაწესებულებას აქვს სასადაილო. ამ სასადაილოში მომუშავე პირები წარმოადგენენ ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ თანამშრომლებს, რომლებზეც არ ვრცელდება სზაკ-ის 44-ე მუხლი. თუ დაწესებულებამ ამ პირთა თანხმობის გარეშე გაავრცელა მათი პერსონალური მონაცემები, მაშინ დაირღვევა პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების წესი. ამ შემთხვევაშიც, თუ პირი ჩათვლის, რომ მას მიადგა ზიანი, ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სზაკ-ის მესამე თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

მაგალითად. პირს სურს მიიღოს კონკრეტული საჯარო ინფორმაცია. საჯარო დაწესებულება კი არღვევს კანონით დადგენილ ვალდებულებას და ინფორმაციას გასცემს სამი თვის დაგვიანებით. თუ პირი ჩათვლის, რომ ვადის გადაცილებით დაირღვა მისი უფლება, მას წარმოეშობა უფლებამოსილება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

¹⁶¹ სზაკ-ის 47-ე მუხლი.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, **ზიანის ანაზღაურების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას.**¹⁶²

6.2 ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

სზაკ-ის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამავე კოდექსში არ არის განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების საკითხი, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში - სსკ) დადგენილი ნორმების შესაბამისად წესრიგდება.¹⁶³ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს, ნებისმიერმა პირმა საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სსკ-ის ნორმებს უნდა მიმართოს.

არსებობს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის სახეები.¹⁶⁴ საჯარო ინფორმაციის მიუწოდებლობით ქონებრივი სახით ზიანის ანაზღაურების მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ შემთხვევა, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ ამინდის გაუარესების თაობაზე პირს არ მიეწოდა ინფორმაცია, ხოლო მან ველარ მოასწრო სტიქიისგან თავის დაღწევა და მის საკუთრებაში არსებული ქონების გადარჩენა. მას შეუძლია ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, მაგრამ მოთხოვნა აუცილებლად ადმინისტრაციული სამართლით მოწესრიგებული ნორმების საფუძველზე უნდა დააყენოს.

განვიხილოთ მეორე მაგალითი: პირს ინფორმაციის გაუცემლობით მიადგა არაქონებრივი ზიანი. იგი თვლის, რომ შეილახა მისი ღირსება. მან მოთხოვნა აუცილებლად ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით უნდა დააყენოს. კერძოდ, მაგალითად, სზაკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე და მხოლოდ შემდგომ უნდა გამოიყენოს სსკ-ის მე-18 მუხლი.¹⁶⁵ არაქონებრივი ზიანის ფაქტი შეიძლება გამოიხატოს პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაში.

¹⁶² სზაკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁶³ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 18 აპრილის Nას-1147-1394-05 გადაწყვეტილება.

¹⁶⁴ ქიტოშვილი დ., ადგიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 327.

¹⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი - პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.
2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. (24.06.2004 N 222)
3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.
4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

ზიანის მიყენების შეიძლება უშუალოდ საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის მიერ იქნეს განხორციელებული, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა იმ საჯარო დაწესებულებას ეკისრება, რომლის თანამშრომელსაც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულ შემთხვევას აწესრიგებს სზაკ-ის 208-ე მუხლი,¹⁶⁶ რომელიც განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია ის ადმინისტრაციული ორგანო, სადაც მუშაობს ეს პირი.

***მაგალითად.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა არ გასცა საჯარო ინფორმაცია კანონში გაწერილი ვადებით. ამ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნმა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა წამოაყენოს არა უშუალოდ ამ პირის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელების სახით (ფულადი კომპენსაციით თუ სხვ.), არამედ საჯარო დაწესებულების მიერ ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.¹⁶⁷ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიეთითოს მიზეზი, თუ რის საფუძველზე დადგა ამგვარი შედეგი და რა უკანონო სახის ქმედება განხორციელა საჯარო დაწესებულებამ.¹⁶⁸*

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

¹⁶⁶ სზაკ-ის 208-ე მუხლი - სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი


1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

¹⁶⁷ იგულისხმება სასამართლოში სარჩელის შეტანა და არა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ზემდგომ თანამდებობის პირთან შეიძლება იქნეს შეტანილი. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის Nბს-411-395(კ-08) განჩინება.

¹⁶⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 15 თებერვლის N38/2198-11 განჩინება.



7. სამართლებრივი შედეგი საჯარო ინფორმაციის არგაცემისას

საქართველოში საჯარო დაწესებულებები საჯარო ინფორმაციას ხშირად არ გასცემენ.¹⁶⁹ ასეთ შემთხვევაში კი საჯარო ინფორმაციის მიღების ერთადერთ ფორმას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება წარმოადგენს.

***მაგალითად:** პირმა მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ინფორმაცია მინისტრის მოადგილის სამივლინებო ხარჯების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება არ გასცემს სასურველ ინფორმაციას (ან გასცემს, მაგრამ არა სრულყოფილი სახით), საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს შესაძლებლობა ეძლევა, გაასაჩივროს იგი დადგენილი წესით. გასაჩივრების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა ორ ნაწილად ჰყოფს: ადმინისტრაციული საჩივრისა და სარჩელის შეტანის შესაძლებლობის სახით.*

7.1 ადმინისტრაციული საჩივარი¹⁷⁰

ადმინისტრაციული საჩივარი სასამართლოში სარჩელის წარდგენის ერთგვარი წინაპირობაა.¹⁷¹ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ვადას ერთი თვე

¹⁶⁹ აღნიშნული დასკვნა შეიძლება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშიდანაც გაკეთდეს. ანგარიში ეხება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას 2010 წელს; იხ. იქვე. 241-244

¹⁷⁰ სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი - ადმინისტრაციული საჩივარი დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

წარმოადგენს.¹⁷² ადმინისტრაციული საჩივარი იმ შემთხვევაში შეიტანება პირის მიერ, თუ იგი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ფორმალური წარმოების ზოგიერთი დებულების გამოყენებით.¹⁷³

მაგალითად: პირმა მოითხოვა საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა ანაზღაურებაზე გაცემული თანხების სრული ოდენობის შესახებ. თუ ადმინისტრაციული ორგანო მას არ მიაწვდის შესაბამის პასუხს, მაშინ პირს წარმოეშვება შესაძლებლობა გაასაჩივროს მისი ქმედება (ან უმოქმედობა) ადმინისტრაციული საჩივრით.

ადმინისტრაციულ საჩივარს არ გააჩნია კანონით დადგენილი ფორმა. კანონმდებლობაში მხოლოდ ისაა განსაზღვრული, თუ რა სახის რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს იგი.¹⁷⁴

მაგალითისთვის იხილეთ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი:

№20111238

15 დეკემბერი 2011

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,

ბატონ ანდრია ურუშაძეს

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი:

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

¹⁷¹ ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“, N1 2011, 182.

¹⁷² სზაკ-ის 180-ე მუხლი.

¹⁷³ სხირტლაძე ნ., იხ. ადვიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 314.

¹⁷⁴ სზაკ-ის 181-ე მუხლი - ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

მოთხოვნა :

ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 16 ნოემბრის №01/49931 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ იქნეს საჯარო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „მაგი სტილი მედიას“ შორის 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით);
2. 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის, სარეკლამო რგოლების დამზადებისთვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ასლები (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით);
3. 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ თითოეული სარეკლამო რგოლის დამზადებისა და მათი ქართულ ტელესივრცეში განთავსებისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადარიცხული თანხების ოდენობა (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით).

გ) ანაზღაურებულ იქნეს:

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

2011 წლის 01 ნოემბერს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გაეგზავნა წერილი **№20111079** (იხ. დანართი №1, 2 ფურცლად), რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, შემდგომში - სზაკ), შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ **2011 წლის 18 ნოემბერს მიაწოდა ინსტიტუტს პასუხი, მაგრამ და ის ვალდებულება**, რაც მას დაკისრებული ჰქონდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეასრულა. კერძოდ, არ გასცა საჯარო ინფორმაცია (იხ. დანართი №2, 1 ფურცლად).

სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანამხად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პასუხი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გასცეს დაუყოვნებლივ, ან 10 დღიან ვადაში (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლება ადამინის ერთ-ერთ ძირითად უფლებად არის აღიარებული და მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლში. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“ ამ უფლების მთავარი არსი - ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაა. თავის მხრივ, ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაში იგულისხმება ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლო საჯარო ინფორმაციას.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების მთავარი პრინციპი, სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის დაინტერესებული სუბიექტების მიერ გაცნობის შესაძლებლობაა. აღნიშნული, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის წინაპირობაა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“*. აღნიშნულზე დაყრდნობით მოთხოვნილი ინფორმაცია არის ადმინისტრაციულ ორგანოთა დავალდებულება, გასცენ საჯარო ინფორმაცია.

თუ საქართველოს კონსტიტუციით ქვეყანაში არსებული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა — **დემოკრატიული რესპუბლიკაა** (საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტი), საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა, ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებული ხელისუფლების შემქმნელია ხალხი, ანუ ხალხი წარმოადგენს არჩევნების გზით ხელისუფლების ფორმირების სამართლებრივ წყაროს. აქედან გამომდინარე, სწორედ ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული ხელისუფლება, რაც მათ სრულყოფილად ინფორმირებას გულისხმობს, სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის შესახებ.

მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც: *„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“*

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი წერილი არ წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი აუცილებლობის უსაფრთხოების აუცილებლობის შემცველ ინფორმაციაზე პასუხის მიღების მოთხოვნას, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო პასუხი გაეცა** მასზე. უკიდურეს შემთხვევაში, თუ იგი პასუხს საიდუმლოებად მიიჩნევდა, აღნიშნული აუცილებლად უნდა ეცნობებინა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად: ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, **საქართველოს კონსტიტუციით გაწერილ ნორმათა დაკონკრეტება** ხდება **სზაკ**-ის საშუალებით, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში, ტერმინ „საჯარო ინფორმაციის“

დეფინიციაა მოყვანილი; კერძოდ, საჯარო ინფორმაცია: „ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. სწორედ მოყვანილი დეფინიციისა და შესაბამისი **კანონის ფარგლებში მოქმედებს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**, როდესაც იგი ითხოვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან საჯარო ინფორმაციის მიღებას.

სზაკ-ის მესამე თავი მთლიანად ეთმობა ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ ბუნებას და მისი მოწესრიგების სფეროს. ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის სუბიექტებს წარმოადგენენ ერთი მხრივ ამავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე „ყველა“, რაშიც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი იგულისხმება, ხოლო მეორე მხრივ - საჯარო დაწესებულება.

საჯარო ინფორმაციის მიღება საჯარო დაწესებულებიდან შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ინფორმაცია არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს. **საიდუმლო ინფორმაცია არის ინფორმაციის სახე, რომელიც კანონით დადგენილი შემთხვევების გათვალისწინებით არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას**. უფრო კონკრეტულად, საჯარო ინფორმაცია საიდუმლოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ კანონი ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს, შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს და აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას. შესაბამისად, სზაკ-ზე დაყრდნობით შესაძლებელია იმ ხუთი ტიპის გამოყოფა, რომელიც საიდუმლო ინფორმაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული:

- 1) **სახელმწიფო საიდუმლოება** (არეგულირებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონი);
- 2) **პირადი საიდუმლოება** (სზაკ-ის 27¹ მუხლი);
- 3) **კომერციული საიდუმლოება** (სზაკ-ის 27-ე მუხლი);
- 4) **პროფესიული საიდუმლოება** (27³ მუხლი);
- 5) **აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული მონაცემები** (სზაკ 29-ე მუხლი).

დასახელებული ხუთივე პუნქტიდან, არცერთი არ იქნა გამოთხოვილი ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებიდან. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა კონკრეტული კითხვა, რომლითაც, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია მოეთხოვა**. საჯარო დაწესებულებამ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ გასცა ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეზე (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენზე), შესაბამისად, მათი **ქმედება წარმოადგენს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევას**.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს პირი, რომელიც „რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამასთან, სზაკ-ის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განმარტავს საჯარო დაწესებულების ცნება, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებაა „ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში“. სზაკ-ის მე-40 მუხლი საჯარო

დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემას ავალდებულებს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობა (მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ფარგლებში) საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა, იგი ვალდებული იყო გაცეცა საჯარო ინფორმაცია ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე.

აღნიშნული დარღვევის შედეგია, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიაღდა არაქონებრივი ზიანი. სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც პირს ზიანი მიაღებდა, საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისას. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ საჯარო დაწესებულება დაარღვევს სზაკ-ის მესამე თავით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს. ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაციის მოძიადებისა და გაცემის პროცედურა დაარღვია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ჩანს მის მიერ პოზიტიური ქმედებისგან თავის შეკავებაში. კერძოდ, მან ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს არ მიაწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მტკიცებით, მოთხოვნილი ინფორმაცია ორ იურიდიულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლს მოიცავს, რაც აბსოლუტურად ლოგიკასაა მოკლებული. ინსტიტუტი სამინისტროსგან არა კონკრეტული იურიდიული პირების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ასლებს, არამედ სამინისტროს მიერ შპს „მაგი სტილი მედიასთან“ მიღწეული შეთანხმების შესახებ ინფორმაციას ითხოვდა.

სამინისტრო არის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიერ განხორციელებული თითოეული ქმედება საჯარო ხასიათისაა. იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. სამინისტრო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, რაც საქართველოს კანონდებლობითაა რეგულირებული. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოსახლეობის წინაშე არის ანგარიშვალდებული. ანგარიშვალდებულება კი საჯარო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობაში გამოიხატება, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არა სახეზე.

საჯარო ინფორმაციის ა(ა)იპ - ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტისთვის მიწოდებისგან თავის არიდებით, ინსტიტუტს მიაღდა არაქონებრივი ზიანი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელთა უფლებამოსილების საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, პირველი კარის, მეორე თავის მეორე ქვეთავშია მოწესრიგებული (იხ. სკ-ის მუხლები 27-29). შესაბამისად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოქმედება კანონის გათვალისწინებული ნორმების დარღვევაა, ხოლო ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიაღდა მორალური ზიანი, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არ განახორციელა მასზე დაკისრებული საქმიანობა.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტ - „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ უპირველეს საქმიანობას სწორედ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და მისი ვებ-გვერდზე (www.opendata.ge) განთავსება წარმოადგენს, სამინისტროს ქმედებით კი, ინსტიტუტმა აღნიშნული ვერ განახორციელა.

აქედან გამომდინარე, შეილახა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კერძოდ,

1. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის საქმიანი რეპუტაცია შელახულ იქნა, იმიტომ, რომ საჯარო დაწესებულების მიერ უსაფუძვლოდ ინფორმაციის არ მიწოდების გამო ეჭვქვეშ დადგა ინსტიტუტის პროფესიონალიზმის და სხვა თვისებების საკითხი, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება ინსტიტუტის მიმართ;
2. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ღირსება შეილახა, საჯარო დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის არ მიწოდების გამო, რადგან შეურაცხყოფილი იქნა საზოგადოების წინაშე;
3. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი შეილახა, რადგან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საერთო ჯამში, დაირღვა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, არ იქნა მიწოდებული საჯარო დაწესებულებისგან საჯარო ინფორმაცია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული წარმოადგენს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის და მთლიანად, საქართველოს მოსახლეობის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულებას. ეს კი საშუალებას გვაძლევს, მოვითხოვოთ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას (სზაკ-ის 177-ე მუხლი), ასაჩივრებს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტის) უფროსის, ქალბატონი ნინო მირზიკაშვილის ქმედებას, რომლითაც არ იქნა მოწოდებული სრულყოფილი სახით საჯარო ინფორმაცია და სზაკ-ის 178-ე მუხლის თანახმად ასაჩივრებს მას ადმინისტრაციული საჩივრით. ამასთან, დაცულია 179-ე და 180-ე მუხლებით გათვალისწინებული ვადები, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი პასუხობს სზაკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და ასევე სზაკ-ის 37-ე, 38-ე, მე-40, 44-ე, 47 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-60¹ მუხლის თანახმად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ითხოვს, რომ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 16 ნოემბრის №01/49931 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სზაკ-ის მე-60¹ მუხლის საფუძველზე;

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ იქნეს ქმედება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „მაგი სტილი მედიას“ შორის 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით);
2. 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის, სარეკლამო რგოლების დამზადებისთვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით);
3. 2009 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტისთვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ თითოეული სარეკლამო რგოლის დამზადებისა და მათი ქართულ ტელესივრცეში განთავსებისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადარიცხული თანხების ოდენობა (ცალ-ცალკე თარიღების მიხედვით).

3. ანაზღაურებულ იქნეს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი 1 (ერთი) ლარის ოდენობით სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

დანართი №1 (2 ფურცელი): ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2011 წლის 01 ნოემბერს გაგზავნილი №20111079 განცხადება საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით.

დანართი №2 (1 ფურცელი): საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 16 ნოემბრის №01/49931 წერილი.

პატივისცემით,

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორი

7.1.1 ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა

ადმინისტრაციული საჩივარი აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს:

- ფიზიკური პირი, რომლის უფლებებიც დაირღვა;
- იურიდიული პირის წარმომადგენელი;
- საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი, თუ საჯარო დაწესებულება თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა;
- შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ფიზიკური პირის წარმომადგენელი.

***მაგალითად:** ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარს ხელს აწერს მისი დირექტორი, რომელიც ასევე ინსტიტუტს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში (არის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი).¹⁷⁵*

ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ორ შემთხვევაში: ა) თუ ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოში არსებობს ზემდგომი თანამდებობის პირი და ბ) თუ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი საჯარო დაწესებულების ზემდგომი ადმინისტრაციულ ორგანო (თუ აქტი გამოცემულია ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ). განვიხილოთ ორივე შემთხვევა:

***მაგალითად.** სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი ხელს აწერს წერილს, რომლითაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს არასრულყოფილად მიეწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.*

***მაგალითად.** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საჯარო ინფორმაცია არ გასცა სამართლებრივი საფუძვლის არმქონე დასაბუთებით. თუ ამ დაწესებულებაში ზემდგომი თანამდებობის პირი მინისტრია, მაშინ ადმინისტრაციული საჩივარი სწორედ მის სახელზე უნდა იქნეს შეტანილი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წერილს ხელს აწერს მინისტრი მაშინ პირმა აღარ უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს და პირდაპირ პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა შეიტანოს სარჩელი.*

პრობლემატურია საკითხი, როდესაც საჯარო დაწესებულება საერთოდ არ გაცემს სამართლებრივ აქტს და არ ახორციელებს ქმედებას. ამ შემთხვევაში ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნება ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა სწორედ ამავე დაწესებულების ხელმძღვანელის (მინისტრი, თავმჯდომარე და ა.შ.) სახელზე.

175

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=300633&app_id=3457
23

მაგალითად: პირმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ნაცვლად, ადმინისტრაციული საჩივარი შეცდომით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა. სზაკ-ის ნორმების შესაბამისად, არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, განცხადება (ადმინისტრაციული საჩივარი) გადაუგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.¹⁷⁶

7.1.3 ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად შეტანა

სზაკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციულ საქმეზე იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ერთჯერადი შესაძლებლობა. ამ ნორმას გააჩნია ასევე გამონაკლისი, რომელიც წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ეს შემთხვევა სახეზეა როდესაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ხელს აწერს მინისტრი. მას არ ჰყავს ზემდგომი თანამდებობის პირი იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში და არ გააჩნია ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.¹⁷⁷

თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ამავე დროს პასუხში განმარტავს უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, საჯარო ინფორმაციის მომთხოვს წარმოეშობა უფლება,

¹⁷⁶ სზაკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებისას გამოიყენება სზაკ-ის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი, ხოლო VI თავის მე-80 მუხლი საუბრობს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის თაობაზე. იხ:

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.
2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.
3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.
4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.
5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

¹⁷⁷ არსებობს მოსაზრება, რომლითაც სამინისტროს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არის საქართველოს მთავრობის კანცელარია, რაც ჩვენი აზრით, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირმა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები მაინც დაცულად ჩაითვლება.

7.1.4 უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე¹⁷⁹

№ 20110626

13 ივნისი 2011

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ბატონ დავით ტყეშელაშვილს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის შესახებ

2011 წლის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ, ბატონ დავით ტყეშელაშვილის სახელზე ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების სამსახურის (შემდგომში - ინსტიტუტი) მიერ შემოტანილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი (ინსტიტუტში რეგისტრაციის ნომერი - №20110621, 07 ივნისი 2011 წელი), რომლითაც მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (შემდგომში - ადმინისტრაცია) 2011 წლის 13 მაისის აქტის ბათილად ცნობა და ინსტიტუტისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ინსტიტუტის მიერ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ **პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არ განახორციელა კანონით გათვალისწინებული ქმედება**, რაც თავის მხრივ, მათ მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოიხატა.

2011 წლის 09 ივნისს ინსტიტუტში შემოსულ იქნა **პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან პასუხი**, რომლითაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ამავე წერილის თანახმად, მოწოდებულ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც ინსტიტუტმა უნდა გადარიცხოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილი თანხა მოსაკრებელთან დაკავშირებით.

¹⁷⁸ იხ. მაგალითად, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, სადაც აღნიშნულია გასაჩივრების სამართლებრივი შესაძლებლობა, სასამართლოში სარჩელის შეტანის სახით - <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/139>. იხ. საქმე №3/7735-11, რომელიც განიხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

¹⁷⁹ სზაკ-ის 191-ე მუხლი - ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა:

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.
2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.
3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტმა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიიღო წერილები საჯარო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, იყენებს იგი რა **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** (შემდგომში - სზაკ) **191-ე მუხლით** მინიჭებულ უფლებამოსილებას და უარს ამბობს პრეზიდენტის აპარატში შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარზე.

სზაკ-ის 191-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით შეტანილი შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე, ინსტიტუტს შემოაქვს წინამდებარე წერილი წერილობითი ფორმით და მასზე ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი.

პატივისცემით,
ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორი

ადმინისტრაციული საჩივრის შემტანს უფლება აქვს უარი თქვას შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარზე. ადმინისტრაციული საჩივრის შემტანი არ არის ვალდებული განმარტოს უარის მიზეზი.

7.2 სარჩელი სასამართლოში

საქართველოში სასამართლოსადმი მიმართვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.¹⁸⁰ აღნიშნული უფლების გამოყენებისთვის საჭიროა პირმა იცოდეს, თუ დავის რა სახის კატეგორიასთან აქვს მას საქმე:

¹⁸⁰ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.


ადმინისტრაციული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივ დავასთან. შესაბამის მოთხოვნასაც სწორედ აღნიშნულის საფუძველზე დააყენებს.

7.2.1 სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე¹⁸¹

როდესაც პირს შეაქვს სარჩელი სასამართლოში, აუცილებელია, რომ მან საკუთარი მოთხოვნები სრულყოფილად ჩამოაყალიბოს. კერძოდ, უნდა გაწეროს ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძველები, რაზე დაყრდნობითაც თვლის, რომ შეილახა მისი უფლებები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დასაშვებობაზე აუცილებელია, რომ მოსარჩელეს მიადგეს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი.¹⁸²

მაგალითად, პირს არ მიეწოდა საჯარო ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადებში, მან შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი, რასაც საჯარო დაწესებულების მხრიდან რეაგირება კვლავ არ მოჰყოლია. თუ იგი სასამართლოში სარჩელს შეიტანს, აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რა სახით იქნა მისი უფლებები დარღვეული.

სზაკ-ის 24-ე მუხლით სასამართლოში სარჩელი დასაშვებია, თუ მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას არ გულისხმობს.¹⁸³



¹⁸¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 24-ე მუხლი - სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე:

1. სარჩელი შეიძლება აღიმრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.
2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

¹⁸² ლორია ვ., წუკულაძე ნ., ვიორგაძე გ., კოპალეიშვილი მ., ხარშილაძე ი., ჩქარეული ც., ლორია ხ., ლორია ა., სალხინაშვილი მ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 182.

¹⁸³ იხ. იქვე.

7.2.2 უარი სარჩელზე

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას მის მიერ შეტანილ სარჩელზე (დისპოზიციურობის პრინციპი).¹⁸⁴ ამ შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს კონკრეტული საქმის დასახელება.

მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ არსებულ დავაზე შეტანილ განცხადებას, რომლითაც მან უარი განაცხადა სარჩელზე:

№20110973

12 სექტემბერი 2011

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს,
ქალბატონ ნინო ონიანს

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 16 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხე - საქართველოს პარლამენტის აპარატის მხრიდან მოითხოვა შემდეგი: ზემოაღნიშნული საჯარო დაწესებულების 2011 წლის 15 ივლისის N5863/3-5 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით.

აღნიშნული საქმის ნომერი გახლავთ **№3/4319-11**. მოსარჩელეს წარდგენილი აქვს 2 (ორი) სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით.

სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხე მხარის მიერ საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემა. მოპასუხე მხარემ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვიანებით გასცა (იხ. დანართი N1, 1 ფურცლად). პასუხი დამაკმაყოფილებლად იქნა გაცემული.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან სწორედ აღნიშნული ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემა სარჩელის შეტანის საფუძველს წარმოადგენდა, ინსტიტუტს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით ქმედების განხორციელების მოთხოვნის აუცილებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. **საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის**

¹⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.

მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კი მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას და უარს ამბობს მის მიერ 2011 წლის 16 აგვისტოს შეტანილ სარჩელზე (საქმე №3/4319-11).

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გთხოვთ დაგვიბრუნოთ ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გადახდილი ბაჟი (100 ლარის ოდენობით).

განცხადებას თან ერთვის საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე გაცემული პასუხის ასლი.

დანართი წარმოდგენილია 1 (ერთ) ეგზემპლარად (1 ფურცლად).

პატივისცემით,

ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორი

7.2.3 სახელმწიფო ბაჟი საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხზე

ინფორმაციის თავისუფლების საკითხი, თავისი არსით არაქონებრივ დავას წარმოადგენს.

მაგალითად, ქ. თბილისის მერიამ არ გასცა კონკრეტული საჯარო ინფორმაცია შესაბამის ფიზიკურ პირზე. საკითხი წარმოადგენს არაქონებრივი დავის კლასიკურ მაგალითს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის¹⁸⁵ 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით, პირველი ინსტანციის საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი 100 ლარს, ხოლო სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე შესაბამისად – 150 და 300 ლარს წარმოადგენს.

განსხვავებული სიტუაცია იქნება, თუ მაგალითად, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ქ. თბილისის მერიის მოქმედებით/უმოქმედობით მიადგა ქონებრივი ზიანი. მაგალითად, პირის თვლის, რომ მას მიადგა ქონებრივი ზიანი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში სახეზეა უკვე არა მხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი ზიანიც, რომელიც ზემოთ დასახელებულ თანხაში გამოიხატება. მოსარჩელე ამ მაგალითზე დაყრდნობით, ვალდებულია გადაიხადოს ოთხი მილიონი ლარის 3%, მაგრამ არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა.¹⁸⁶

¹⁸⁵ რომელიც სასამართლოში არსებულ ადმინისტრაციულ საქმეებზეც გამოიყენება.

¹⁸⁶ მაგალითიდან გამომდინარე, ქონებრივი ზიანის 3% 30 000 ლარია. ფიზიკური პირი დაცულია უფლებით, რომლის მიხედვითაც მას პირველი ინსტანციის სასამართლოში 3 000 ლარზე მეტის გადახდა ვერ დაეკისრება. მაგალითში რომ იურიდიული პირი ყოფილიყო მითითებული,

აღნიშნული მაგალითი განვიხილოთ მეორე კუთხით, როდესაც ფიზიკური პირი თვლის, რომ მას ზიანი მიადგა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის 3% იქნება 1,5 ლარი, მაგრამ იგი ვალდებული იქნება მაინც 100 ლარი გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟის სახით.

საკითხის თვალნათლივ წარმოჩენისთვის იხილეთ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი განცხადება, რომლითაც მან გამოასწორა ხარვეზი¹⁸⁷ და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით:

№20110847

26 აგვისტო 2011

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს,

ქალბატონ ნინო ონიანს

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(ხარვეზის შევსების შესახებ)

საქმე №3/4319-11

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 16 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხე - საქართველოს პარლამენტის აპარატისგან მოითხოვა შემდეგი: საქართველოს პარლამენტის აპარატის 2011 წლის 15 ივლისის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის (იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრებზე გაცემულ ხელფასებსა და დანამატებს და ასევე დარიცხულ პრემიებს ეხება) ბათილად ცნობა და საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით შემდეგ საკითხებზე: საქართველოს პარლამენტის წევრთათვის (150 წევრის მთლიანად) 2010 წელსა და 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაცემული ხელფასებისა და დანამატების, ასევე დარიცხული პრემიების საერთო ოდენობის (წლების გამოყოფითა და საერთო ციფრის დასახელებით, კონკრეტულ პირთა მითითების გარეშე) შესახებ საჯარო ინფორმაცია.

აღნიშნული საქმის ნომერი გახლავთ: **№3/4319-11**

შესაბამისი კანონის საფუძველზე იგი ვალდებული იქნებოდა, 5 000 ლარი გადაეხადა (ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის შეტანის გათვალისწინებით).

¹⁸⁷ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბაჟი შეგნებულად არ იქნა გადახდილი მოსარჩელის მიერ. მას აინტერესებდა, თუ რა სახის განჩინებას გამოიტანდა სასამართლო ხარვეზის დადგენის თაობაზე. აღმოჩნდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებში აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა: ერთი მათგანი უთითებს გადასახდელი თანხის ოდენობას, ხოლო მეორე მათგანი საერთოდ არ აღნიშნავს მას და მხოლოდ მისი გადახდის ვალდებულებაზე საუბრობს.

სარჩელზე **სასამართლოს** მიერ **2011 წლის 18 აგვისტოს განჩინებით** (განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2011 წლის 22 აგვისტოს) დადგენილ იქნა ხარვეზი და 10 დღის ვადაში დაგვევალა სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა განჩინებით განსაზღვრულ ვადებში მოახდინა ხარვეზის შევსება და თანადართული დოკუმენტის სახით წარმოგიდგინეთ: ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გადახდილ **სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს 100 (ასი) ლარის ოდენობით** (1 ფურცლად).

დანართი წარმოდგენილია 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,
ააიპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორი

ბოლოთქმა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციას თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. თავის მხრივ, საჯარო დაწესებულებებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის მომთხოვნი თავად ირჩევს ინფორმაციის მიღების ფორმას. საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, ხოლო თუ ინფორმაციის გაცემა მოითხოვს გარკვეული დოკუმენტების მოძიებას და დამუშავებას, ინფორმაცია უნდა გაიცეს არაუგვიანეს ათი დღისა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოებში ან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს როგორც გადაწყვეტილების გაუქმება ასევე, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.

სამწუხაროდ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მიუხედავად საკანონმდებლო ნორმების არსებობისა, სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ არის მარტივი, რადგან საჯარო დაწესებულებების დამოკიდებულება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი არაერთგვაროვანია. ინფორმაციას, რომელსაც ერთი ადმინისტრაციული ორგანო დაუბრკოლებლად გასცემს, მეორე საიდუმლო ინფორმაციად მიიჩნევს და ამ მოტივით ზღუდავს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკაში ხდება მოქმედი საკანონმდებლო ნორმების განსხვავებული ინტერპრეტირება.

სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს საერთო სასამართლოებში ინფორმაციის თავისუფლების საკითხზე შეტანილი სარჩელების უმრავლესობის დაკმაყოფილება არ ხდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო სისტემა უფრო მეტ ლოიალურობას იჩენს საჯარო დაწესებულებების მიმართ, ვიდრე მათთან მოდავე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირების მიმართ. ეს ყველაფერი კი შეუსაბამობაში მოდის დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებთან, ვინაიდან თითოეული საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არსებული პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება, მოქალაქეების ცოდნის არეალის გაფართოება და ამ გზით მათი აქტიური ჩართვა ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუციონალურ განვითარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალედ საქმიანობასა და ზოგადად საქართველოში კარგი მმართველობის დამკვიდრებას.

დანართი

დანართის სახით იხილეთ:

დანართი №1: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის ნიმუში (ხელმოწერის გარეშე) - 13 ფურცლად;

დანართი №2: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წინააღმდეგ - 8 ფურცლად.

დანართი №3: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივრის ნიმუში (ხელმოწერის გარეშე) - 18 ფურცლად;



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შპს იდეალი-1

აიიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	თბილისი, მაჭავარიანის (არაგვის) ქ. N4	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს იდეალი-1
---	-------------------------	---------------------------------------	--

ალტერნატიული მისამართი შპს იდეალი-3 სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	2 99 63 64	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	info@idfi.ge	ელექტრონული ფოსტა
-------------	------------	-----------------	----------	-------	--------------	-------------------

მოსარჩელის წარმომადგენელი: შპს იდეალი-4

სერგი ჯორბენაძე (აიიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტ - საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის კოორდინატორი)	პირადი ნომერი N01008028649	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 62	ძირითადი მისამართი
---	-------------------------------	------------------------------	--------------------

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	2 99 63 64	სამსახურის ტელ.	568 79 23 22	მობილური	ფაქსი	s.jorbenadze@idfi.ge	ელექტრონული ფოსტა
-------------	------------	-----------------	--------------	----------	-------	----------------------	-------------------

მოპასუხე: შპს იდეალი-5

საქართველოს სასჯელადასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	პირადი (საიდენ.) ნომერი	ალ. ყაზბეგის გამზ. N42	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს იდეალი-6
---	-------------------------	------------------------	--

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს იდეალი-6

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	2 31 27 34	სამსახურის ტელ.	2 31 19 01	მობილური	ფაქსი	info@mcla.gov.ge	ელექტრონული ფოსტა
-------------	------------	-----------------	------------	----------	-------	------------------	-------------------

საკონტაქტო პირი: შპს იდეალი-7

სახელი, გვარი

სახლის ტელ.

მობილური

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შპნიშპნა-9

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპნიშპნა-10

დავის საბანი

შპნიშპნა-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შპნიშპნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2011 წლის 02 მაისს ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს №20110541, №20110542, №20110543, №20110544 წერილებით მიმართა (იხ. დანართი N1, 8 ფურცლად) და მოსთხოვა საჯარო ინფორმაციის მიღება რამდენიმე საკითხზე (აღნიშნული კითხვები მოცემულია N1 დანართში, 8 ფურცლად). სამინისტრომ არ განახორციელა ქმედება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და შესაბამისად, დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები. ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 09 ივნისს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა და მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ამავე დაწესებულებაში, ქალბატონ ხათუნა კალმახელიძის სახელზე შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი (იხ. დანართი N2, 10 ფურცლად). საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან, შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირებას არ ჰქონია ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, სამინისტრო ვალდებული იყო, გაეცა საჯარო ინფორმაცია, მათ არ განახორციელეს ქმედება. ადმინისტრაციული საჩივრით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან ერთად, ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ იქნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1 (ერთი) ლარის ოდენობით, რომელზეც ასევე არ განხორციელდა სამინისტროს მხრიდან ქმედება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იყენებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ უფლებამოსილებას და სარჩელი შეაქვს თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელე ითხოვს, სამინისტროს განახორციელოს მასზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული

ვალდებულება და გასცეს საჯარო ინფორმაცია მის მომთხოვნზე; ასევე, ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის ანაზღაურებულ იქნეს არაქონებრივი ზიანი, ვინაიდან შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. არაქონებრივი ზიანის ოდენობაა 1 (ერთი) ლარი.

შპ607336A-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

აიპ - ინფორმაცია თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 02 მაისს გაგზავნილი წერილები, საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით.

მტკიცებულება:

ა. (დანართი N1, 8 ფურცლად)

2. ფაქტობრივი გარემოება

აიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 09 ივნისს შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მტკიცებულება:

ა. (დანართი N2, 10 ფურცლად)

3. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

4. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 12 მაისის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე

2. სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით იმ საკითხებზე, რომელიც ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 02 მაისს (იხ. დანართი N1, 8 ფურცლად)

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე

3. სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან, ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1 (ერთი) ლარის ოდენობით

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე

ფაქტობრივი გარემო ბა(ები)

ექსპერტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-23

სსკპ სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ

ვის?

რომელი ენის მცოდნე?

არა

სარჩელის ფასი

შპნიშპნა-25

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟი

შპნიშპნა-26

— 100 ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიას არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შპნიშპნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიას

მტკიცებულება: ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, 2011 წლის 09 ივნისს შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი. იხ. დანართი N2, 10 ფურცლად.

არა

რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?**დიას**

მორიგების პირობები:

არა

რადგან 1) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ააიპ - ინფორმაციის

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს გააჩნია უფლებამოსილება მოითხოვოს საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაცია, ხოლო დაწესებულება ვალდებული გასცეს იგი;

2) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს ვალდებულება (და არა უფლებამოსილება), გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ სრულყოფილად ისეთი სახით, როგორსაც ითხოვს ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

3) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არ გააჩნია არგუმენტი (მტკიცებულება), რომლის საფუძველზეც უარს იტყვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

4) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებანი აუცილებელი ხასიათისაა ნებისმიერი პირისთვის (მათ შორის საჯარო დაწესებულებისთვის, მითუმეტეს, თუ უშუალოდ ეხება მას);

5) საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტით, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა, ხოლო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამართლიანი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს კანონმორჩილი საჯარო დაწესებულებანი წარმოადგენენ (მათ შორის სამინისტრო);

6) ყველა შეთანხმება, რომელიც კანონის საწინააღმდეგო ხასიათისაა, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, თუ ინსტიტუტმა სამინისტროსთან საქმე მორიგებით დაასრულა, ადგილი ექნება ინსტიტუტის მხრიდან სამინისტროსთვის კანონის დარღვევის ხელშეწყობას, ვინაიდან მოსარჩელე პირველ რიგში საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესრულებას მოითხოვს.

შპნიშპნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლო საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ზეპირი მოსმენისას უნდა მოახდინოს თავისი პოზიციის დაფიქსირება (მითუმეტეს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არ განხილულა), რათა განმარტებულ იქნეს მეტად თვალნათლივ ის სამართლებრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც იგი ქმედების განხორციელებას ითხოვს საჯარო დაწესებულებისგან (ფაქტია, ადმინისტრაციული საჩივარის შეტანაზე, ხოლო იქამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვაზე სამინისტროს მხრიდან კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ადგილი არ ჰქონია).

შპნიშპნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებლად ისათვის?

20 წუთი რადგან ამ დროში დამატებით იქნება ჩამოყალიბებული ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პოზიცია და მოყვანილ იქნება არგუმენტები, თუ რატომ დაირღვა მისი უფლებები და რატომ შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სხვა მხრივ, ინსტიტუტი არ ითხოვს დამატებით დროს, ვინაიდან, სამინისტროს მიერ განხორციელებული კანონის დარღვევა აშკარა ხასიათისაა და ამის კიდევ ახლიდან მტკიცებას არ სჭირდება უფრო მეტი დრო.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან საკითხი იმდენად თვალნათლივაა წარმოჩენილი და იმდენად აშკარაა სამინისტროს მიერ კანონის დარღვევა, რომ აღნიშნული საქმის განხილვას არ დასჭირდება ერთზე მეტი სხდომა.

შპნიშპნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლო საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპნიშპნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპნიშპნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შპნიშპნა-33 შპნიშპნა-34

დანართი 1: ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 02 მაისს გაგზავნილი წერილების (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა) ასლები (მასზე სამინისტროს მიერ დაფიქსირებულია მიღება-ჩაბარების აქტი), 8 ფურცლად;

დანართი 2: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 09 ივნისს შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი (მასზე სამინისტროს მიერ დაფიქსირებულია მიღება-ჩაბარების აქტი), 10 ფურცლად;

დანართი 3: ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის მიერ სერგი ჯორბენაძეზე გაცემული რწმუნებულება, რომლითაც სერგი ჯორბენაძე ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს სასამართლო განხილვის ყველა სტადიაზე წარმოადგენს, 2 ფურცლად;

დანართი 4: ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლის, სერგი ჯორბენაძის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, 1 ფურცლად.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 21 ფურცელი.

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დაახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მონხარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

შპნიშპნა-35

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შპნიშპნა-36 შპნიშპნა-37 *ელ. ფოსტა:* 1st.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიუთითებ სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორი,
გიორგი კლდიაშვილი

05/08/2011 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შეხვედის თარიღი

შეხვედელი ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



თბილისის საქალაქო სასამართლო

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

საქმე №3/3935-11

2011 წლის 18 ნოემბერი, თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - დიმიტრი გვრიტიშვილი
სხდომის მდივანი – თამარ ჟორჟოლიანი

მოსარჩელე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, წარმომადგენლები – გიორგი კლდიაშვილი, სერგი ჯორბენაძე

მოპასუხე - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმომადგენელი – ირაკლი ივანიძე

დავის საგანი – ქმედების განხორციელება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. დაევალოს მოპასუხეს ქმედების განხორციელება - საჯარო ინფორმაციის გაცემა იმ საკითხებზე, რომელიც მოთხოვნილ იქნა მოსარჩელის მიერ 2011 წლის 2 მაისს.

1.2. დაევალოს მოპასუხეს - აანაზღაუროს მოსარჩელისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი 1 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მის მიერ მოთხოვნილია ინფორმაცია არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას; შესაბამისად, მისი გაუცემლობით დაირღვა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციის, საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები - საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების და საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვის პრინციპები. დარღვევამ გამოიწვია არა მხოლოდ

მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, არამედ - მისი პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაც.

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე სარჩელს არ სცნობს და მიუთითებს, რომ სადავო ინფორმაცია წერილობითი სახით მიეწოდა მოსარჩელეს. მოსარჩელე ვერ ადასტურებს მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს და მიზეზობრივი კავშირის არსებობას დამდგარ ზიანსა და მოპასუხე სამინისტროს შესაბამისი მოხელის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას შორის.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2011 წლის 2 მაისს მოსარჩელემ №20110541, №20110542, №20110543, №№20110544 განცხადებებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

ა) განცხადების წარდგენის მომენტისათვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობის სახელწოდება);

ბ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

გ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

დ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით), რომელიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს (სია);

ე) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზონები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ვ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ

კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ზ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

თ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის – ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე;

ი) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მათ შორის – საწვავის ტიპი) 2011 წლის პირველის კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

კ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2011 წლის პირველი კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

ლ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

მ) საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია;

ნ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი);

ო) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

პ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ

კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

ჟ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

რ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

3.1.2. ვინაიდან მოპასუხეს მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში არ გაუცია, მოსარჩელემ 2011 წლის 9 ივნისს ადმინისტრაციული საჩივარი წარუდგინა მინისტრს, იმავე მოთხოვნებით, რაც წარმოადგენს წინამდებარე სასარჩელო დავის საგანს. ადმინისტრაციული საჩივარი კანონით დადგენილი წესით განხილული არ ყოფილა.

3.1.3. სარჩელი წარმოდგენილ იქნა სასამართლოში 2011 წლის 5 აგვისტოს.

3.1.4. მოპასუხის 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილით მოსარჩელეს მიეწოდა შემდეგი ინფორმაცია: სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 534 ერთეულს, შტატგარეშე მოსამსახურეების - 7 ერთეულს; გაცემული ხელფასებისა და პრემიების ოდენობა - 1225845 ლარი; საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი - 4648,91 ლარი; ავტოტექნომსახურებაზე გაწეული ხარჯი - 10076 ლარი; საგანმანათლებლო ღონისძიების, კერძოდ - თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯები - 1760 ლარი; სამივლინებო ხარჯების საერთო რაოდენობა - 9688 ლარი; სამინისტროს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე ირიცხება შემდეგი ავტომანქანები: Toyota Land Cruiser - 3 ერთეული, Skoda Octavia - 11 ერთეული, Volkswagen Passat CC, Toyota Camry, Audi A8, Toyota Hight Lux, Mercedes-Benz - 4 ერთეული. სამინისტროს ბიუჯეტიდან განხორციელებულ პროექტებზე ხარჯები არ არის გაწეული; სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს თეიმურაზ რიჟამაძე (საკონტაქტო ტელ. 2312747 (127)).

3.1.5. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) განთავსებულია ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (მათ შორის - მოპასუხე სამინისტროს) მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული ყველა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ინფორმაცია.

სასამართლო ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:
- მოსარჩელის 2011 წლის 2 მაისის №20110541, №20110542, №20110543, №№20110544 განცხადებები;
- მოპასუხის 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილი;

- მხარეთა ახსნა-განმარტებები.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადება, შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და თვლის, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. სამართლის ნორმები, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ

5.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი:

5.1.1. 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

5.1.2. 33¹-ე მუხლი: თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება.

5.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი:

5.2.1. მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი: საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ **სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით** მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

5.2.2. მუხლი 47:

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

5.3. საქართველოს კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“:

5.3.1. მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

ა) მონაცემი – ფაქტებისა და იდეების წარმოდგენა ფორმალიზებული სახით, რომელიც მათ გამოსადეგს ხდის საინფორმაციო პროცესში გადაცემისა და დამუშავებისათვის;

ბ) მონაცემის მფლობელი – პირი ან ორგანიზაცია, რომელიც გასცემს კონკრეტული მონაცემის ხელმისაწვდომობის უფლებამოსილებას და ვალდებულია შეინარჩუნოს მონაცემის სისწორე, ერთიანობა და დროულობა;

გ) მონაცემის დამუშავება – მონაცემის შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, ნახვა, ამოღება, გამოყენება, გადაცემა, კომბინირება, დახურვა, წაშლა ან განადგურება, ან ამ ქმედებების ნებისმიერი ერთობლიობა, ქმედების განხორციელების ან გამოყენებული საშუალების მიუხედავად;

ვ) რეესტრის სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო, სამედიცინო ან ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მონაცემების შექმნას, შეცვლას, წაშლას ან განადგურებას.

5.3.2. მე-10 მუხლი: რეესტრის სუბიექტს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.

5.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

5.4.1. 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი: სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5.4.2. მუხლი 364: სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

5.4.3. მუხლი 367: სააპელაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

5.4.4. 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

6. ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს შ ე ფ ა ს ე ბ ა

6.1. სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი პირობა კუმულატიურია: 1. უარი ქმედების განხორციელებაზე უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო; 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს (პუნქტი 5.1.2). ერთ-ერთი ამ ელემენტის არარსებობისას სარჩელის დაკმაყოფილება გამოირიცხება.

6.2. სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანო (საინფორმაციო რეესტრის სუბიექტი) ვალდებულია - შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით ამ გადაწყვეტილების 5.2.1 და 5.3.2 პუნქტები). სასამართლოს მოსაზრებით, „მონაცემების (ინფორმაციის) დამუშავებაში“ იგულისხმება რაიმე გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მოძიება, შესწავლა და სისტემატიზაცია, მათი უბრალო, მექანიკური თავმოყრის სახით და არა მათი ლოგიკური სინთეზის მეშვეობით ახალი დოკუმენტის შექმნა.

6.3. ამდენად, თუ საჯარო დაწესებულებას დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მზა სახით არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრება 2 პირობა, როდესაც დაწესებულება ვალდებულია - დაამუშავოს ინფორმაცია: ა) შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით; ბ) ინფორმაცია (მონაცემები) სისტემატიზდება მათი უბრალო, მექანიკური თავმოყრით, რაც არ უნდა იწვევდეს მათი ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტის შექმნას.

6.4. სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა ისეთი სახით, რაც გულისხმობდა მოპასუხის მიერ მზა სახით არარსებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას და მოძიებული მონაცემების სინთეზის გზით ახალი დოკუმენტების შექმნას, ამასთან - ისეთ პირობებში, როდესაც არ არის დასაბუთებული ასეთი სახით ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა მოპასუხის მიერ თავისი ფუნქციის შესრულებისათვის, აგრეთვე - არც მოპასუხის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ამგვარი დამუშავების ვალდებულებას. შესაბამისად, გარდა მოსარჩელისათვის ფაქტობრივად გადაცემული ინფორმაციისა (ამ გადაწყვეტილების 3.1.4 პუნქტი), დანარჩენი ინფორმაციის გაცემაზე მოპასუხის უარი არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არ არსებობს ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების (1.1 სასარჩელო მოთხოვნა) ერთ-ერთი კანონისმიერი პირობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილის საჯაროობა (ხელმისაწვდომობა) უკვე უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებით (ამ გადაწყვეტილების 3.1.5 პუნქტი).

6.5. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ ეთქვა უარი და ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანის დადგომა. არც ერთი მითითებული კომპონენტი სახეზე არ არის: მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი კანონიერია, ამასთან - არ დგინდება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის არსებობის ფაქტიც, რის გამოც 1.2 სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

7. საპროცესო ხარჯები

სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელის მიერ 2011 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში (პუნქტი 5.4.1).

სარეზოლუციო ნაწილი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
2. მოსარჩელის მიერ 2011 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა). სააპელაციო საჩივარი შემოტანილ უნდა იქნეს მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მოსამართლე:

/დ. გვრიტიშვილი/



**სააკველაციო
საჩივარი
აღმინისტრაციულ საქმეზე**

თბილისის სააკველაციო
სასამართლო

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

აკველანტი: შპნიშპნა-1

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი სახელი, გვარი (სახელწოდება)		თბილისი, მაჭავარიანის (არაგვის) 4
პირადი (საიდენ.) ნომერი		ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპნიშპნა-2
ალტერნატიული მისამართი შპნიშპნა-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	2 99 63 64	ფაქსი
სამსახურის ტელ.		ელექტრონული ფოსტა
მობილური		info@idfi.ge

აკველანტის წარმომადგენელი: შპნიშპნა-4

სერგი ჯორბენაძე (მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში დევს)	01008028649	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 62
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	2 99 63 64	ფაქსი
სამსახურის ტელ.	568 79 23 22	ელექტრონული ფოსტა
მობილური		s.jorbenadze@idfi.ge

მოწინააღმდეგე მხარე: შპნიშპნა-5

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო		აღ. ყაზბეგის გამზ. 42
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპნიშპნა-6
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	2 31 27 34	ფაქსი
სამსახურის ტელ.		ელექტრონული ფოსტა
მობილური		info@mcla.gov.ge

საკონტაქტო პირი: შპნიშპნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ
ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიშნო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შპნიშპნა-9

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპნიშპნა-10

ბასაჩივრებული გადაწყვეტილება

შპნიშპნა-11

სასამართლოს დასახელება: თბილისის საქალაქო სასამართლო

განმხილველი მოსამართლე: დიმიტრი გვრიტიშვილი

საქმის ნომერი: №3/3935-11

მიღების თარიღი: 2011 წლის 18 ნოემბერი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

შპნიშპნა-12

სააკველაციო მოთხოვნა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილების გაუქმება, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

შპნიშპნა-13

ბასაჩივრებული გადაწყვეტილების ვაქტობრივი უსწორებები

შპნიშპნა-14 შპნიშპნა-15

1. ფაქტობრივი უსწორება

თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისთვის მნიშვნელობის მქონედ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-10717 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იგი აბსოლუტურად სხვა სახის საჯარო ინფორმაციას ეხება (რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს)

მტკიცებულება:

ა. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-10717 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (იხ. დანართი N2, 3 ფურცლად)

2. ფაქტობრივი უსწორება

თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები, მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან პასუხს წარმოადგენს

მტკიცებულება:

ა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების 3.1.5 და 6.4 პუნქტები

3. ფაქტობრივი უსწორება

თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტს სამინისტროს მხრიდან უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, მათ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი საერთოდ არ გაუციათ

ა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების 6.4 პუნქტი

ახალი ვაქტობრივი ბარემოებები

შპნიშპნა-16 შპნიშპნა-17 შპნიშპნა-18.

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილება მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

ა. (დანართი 1) 8 ფურცლად

2. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-10717 წერილი

ა. (დანართი 2) 3 ფურცლად

3. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 02 მაისს გაგზავნილი განცხადებები, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს. აღნიშნულ წერილებზე სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-10717 წერილით პასუხი არ გაუცია.

ა. (დანართი 3) 8 ფურცლად

4. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 12 სექტემბერს გაგზავნილი განცხადებები, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს. აღნიშნულ წერილებზე გასცა პასუხი სამინისტრომ (სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის წერილი N2/03-10717).

ა. (დანართი 4) 6 ფურცლად

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- | | |
|-------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემაღვენლობამ; |
| <input type="checkbox"/> | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით; |
| <input type="checkbox"/> | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; |
| <input type="checkbox"/> | საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი. |

დასაბუთება: გადაწყვეტილება არაა იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან სამინისტროს მიერ აბსოლუტურად სხვა სახის საკითხზე იქნა პასუხი გაცემული, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენდა, სასამართლომ კი აღნიშნული სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციად ჩათვალა. ის საკითხები კი, რომელზეც სამინისტრომ არ გასცა ინფორმაცია, სასამართლომ დასაბუთებულ უარად მიიჩნია. იურიდიულად შეუძლებელია მართებულად იყოს აღნიშნული დასაბუთებული ვინაიდან: ა) დავის საგანს წარმოადგენს 2011 წლის 02 მაისის N20110541; N20110542; N20110543 და N20110544 განცხადებები (იხ. დანართი N3, 8 ფურცლად), რომელიც 2011 წლის პირველ კვარტალში არსებულ საკითხებს ეხება, ხოლო სასამართლომ პასუხი გასცა 2011 წლის მეორე კვარტალზე (ინსტიტუტის 2011 წლის N20110925; N20110926 განცხადებებზე. პასუხში კიდევ ორი განცხადებაა აღნიშნული - N201109289 და N20111021 განცხადებები, რომელიც ასევე აბსოლიტურად განსხვავებული ხასიათის შეკითხვაა და იმ კითხვებს, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს, შინაარსობრივად არ ემთხვევა; იხ. დანართი N4, 6 ფურცლად), რომელიც დავის საგანთან აბსოლუტურად არაა კავშირში. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ჩვენი მხრიდან არ არის დასაბუთებული სამინისტროს მხრიდან ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა (თანდართული სასამართლო გადაწყვეტილების პუნქტი 6.4), რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონდებლობას. სზაკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი არაა ვალდებული დაასაბუთოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი და მოტივი.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსტიტუტი სააკველაციო სასამართლოში ითხოვს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსადმი ქმედების განხორციელების დავალდებულებას, რომლის საშუალებითაც ინსტიტუტს მიეწოდება 2011 წლის 02 მაისის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და არა 2011 წლის 12 სექტემბერს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ 2011 წლის 02 მაისს ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სრული იგნორირება მოახდინა და ის ვალდებულება, რაც მას დაკისრებული ჰქონდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეასრულა.

სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანამხად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პასუხი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გასცეს დაუყოვნებლივ, ან 10 დღიან ვადაში (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლება ადამინის ერთ-ერთ ძირითად უფლებად არის აღიარებული და მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციაში. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების მთავარი პრინციპი, სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის დაინტერესებული სუბიექტების მიერ გაცნობის შესაძლებლობაა. აღნიშნული, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის წინაპირობაა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. აღნიშნულზე დაყრდნობით მოთხოვნილი ინფორმაცია არის ადმინისტრაციულ ორგანოთა დავალდებულება, გასცენ საჯარო ინფორმაცია.

თუ საქართველოს კონსტიტუციით ქვეყანაში არსებული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა (საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტი), საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა, ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებული ხელისუფლების შემქმნელია ხალხი, ანუ ხალხი წარმოადგენს არჩევნების გზით ხელისუფლების ფორმირების სამართლებრივ წყაროს. აქედან გამომდინარე, სწორედ ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული ხელისუფლება, რაც მათ სრულყოფილად ინფორმირებას გულისხმობს, სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის შესახებ.

მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი წერილი არ წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი აუცილებლობის უსაფრთხოების აუცილებლობის შემცველ ინფორმაციაზე პასუხის მიღების მოთხოვნას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ვალდებული იყო პასუხი გაეცა მასზე. უკიდურეს შემთხვევაში, თუ იგი პასუხს საიდუმლოებად მიიჩნევდა, აღნიშნული აუცილებლად უნდა ეცნობებინა ა(ა)იპ -

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად: ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციით გაწერილ ნორმათა დაკონკრეტება ხდება სზაკ-ის საშუალებით, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში, ტერმინ „საჯარო ინფორმაციის“ დეფინიციას მოყვანილი; კერძოდ, საჯარო ინფორმაციაა: „ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. სწორედ მოყვანილი დეფინიციისა და შესაბამისი კანონის ფარგლებში მოქმედებს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, როდესაც იგი ითხოვს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსგან საჯარო ინფორმაციის მიღებას.

სზაკ-ის მესამე თავი მთლიანად ეთმობა ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ ბუნებას და მისი მოწესრიგების სფეროს. ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის სუბიექტებს წარმოადგენენ ერთი მხრივ ამავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე „ყველა“, რაშიც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი იგულისხმება, ხოლო მეორე მხრივ - საჯარო დაწესებულება.

საჯარო ინფორმაციის მიღება საჯარო დაწესებულებიდან შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ინფორმაცია არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს. საიდუმლო ინფორმაცია არის ინფორმაციის სახე, რომელიც კანონით დადგენილი შემთხვევების გათვალისწინებით არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას. უფრო კონკრეტულად, საჯარო ინფორმაცია საიდუმლოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ კანონი ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს, შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს და აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას. შესაბამისად, სზაკ-ზე დაყრდნობით შესაძლებელია იმ ხუთი ტიპის გამოყოფა, რომელიც საიდუმლო ინფორმაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული:

- 1) სახელმიწვო საიდუმლოება (არეგულირებს „სახელმიწვო საიდუმლოების შესახებ“ კანონი);
- 2) პირადი საიდუმლოება (სზაკ-ის 271 მუხლი);
- 3) კომერციული საიდუმლოება (სზაკ-ის 27-ე მუხლი);
- 4) პროფესიული საიდუმლოება (273 მუხლი);
- 5) აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული მონაცემები (სზაკ 29-ე მუხლი).

დასახელებული ხუთივე პუნქტიდან, არცერთი არ იქნა გამოთხოვილი ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებიდან. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა კონკრეტული კითხვა, რომლითაც, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია მოეთხოვა. საჯარო დაწესებულებამ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ გასცა ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეზე (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენზე), შესაბამისად, მათი უმოქმედობა წარმოადგენს

კანონმდებლობის ნორმათა დარღვევას.

აღნიშნული დარღვევის შედეგია, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიადგა არაქონებრივი ზიანი. სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც პირს ზიანი მიადგება, საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისას. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ საჯარო დაწესებულება დაარღვევს სზაკ-ის მესამე თავით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს. ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაციის მომზადებისა და გაცემის პროცედურა დაარღვია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, ჩანს მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავებაში. კერძოდ, მან ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს არ მიაწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ა(ა)იპ - ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტისთვის მიწოდებისგან თავის არიდებით, ინსტიტუტს მიადგა არაქონებრივი ზიანი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელთა უფლებამოსილების საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, პირველი კარის, მეორე თავის მეორე ქვეთავშია მოწესრიგებული (იხ. სკ-ის მუხლები 27-29). შესაბამისად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს უმოქმედობა (რაც საჯარო ინფორმაციის გაცემისგან თავის შეკავებაში გამოიხატა) კანონის გათვალისწინებული ნორმების დარღვევაა, ხოლო ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიადგა მორალური ზიანი, ვინაიდან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ არ განახორციელა მასზე დაკისრებული საქმიანობა. მათ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცეს, მხოლოდ 4 (ოთხი) თვის მერე ხელმეორედ გაგზავნილ განცხადებას მიწერეს ინსტიტუტს პასუხი, რომელიც სასამართლომ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციად მიიჩნია.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტ - „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ უპირველეს საქმიანობას სწორედ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და მისი ვებ-გვერდზე (www.opendata.ge) განთავსება წარმოადგენს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს უმოქმედობით, ინსტიტუტმა აღნიშნული ვერ განახორციელა.

აქედან გამომდინარე, შეილახა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კერძოდ,

1. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის საქმიანი რეპუტაცია შელახულ იქნა, იმიტომ, რომ საჯარო დაწესებულების მიერ უსაფუძვლოდ ინფორმაციის არ მიწოდების გამო ეჭვქვეშ დადგა ინსტიტუტის პროფესიონალიზმის და სხვა თვისებების საკითხი, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება ინსტიტუტის მიმართ;

2. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ღირსება შეილახა, საჯარო დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის არ მიწოდების გამო, რადგან შეურაცხყოფილი იქნა საზოგადოების წინაშე;

3. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი შეილახა, რადგან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საერთო ჯამში, დაირღვა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, არ იქნა მიწოდებული საჯარო დაწესებულებისგან საჯარო ინფორმაცია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული წარმოადგენს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის და მთლიანად, საქართველოს მოსახლეობის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულებას. ეს კი საშუალებას გვაძლევს, მოვითხოვოთ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

სასამართლოს მოსაზრება მთლიანად უნდა იქნეს გაუქმებული. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პასუხი (რომელიც გაურკვეველ მიზეზთა გამო სასამართლომ შემდგომში გაცემულ საჯარო ინფორმაციად ჩათვალა), სადაც მითითებულია, რომ მოწოდებული ინფორმაცია ეხება სამინისტროს მიერ 2011 წლის მეორე კვარტალში გაწეულ საქმიანობას და არა 2011 წლის პირველ კვარტალში, რომელიც წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს.

ამავე წერილის მეორე გვერდზე უშუალოდ სამინისტროს მიერაა მითითება, რომ პასუხში მოწოდებული ინფორმაცია 2011 წლის მეორე კვარტალს ეხება (იხ. დანართი N2, 3 ფურცლად, მეორე გვერდი). აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ინსტიტუტი ითხოვს, რომ სამინისტროს დაევალოს ქმედების განხორციელება, საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და ინსტიტუტის მიერ მიყენებული არაქონებრივი ზიანისთვის ანაზღაურებულ იქნეს თანხა 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

შესაბამისად, გადაწყვეტილება არაა საკმარისად იურიდიულად დასაბუთებული, ხოლო ის, რაც დასაბუთებულია, იმდენად არასამართლიანადაა ჩამოყალიბებული, რომ მისი კანონთან შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია. მაშინ, როდესაც დავის საგნისგან აბსოლუტურად განსხვავებულ საკითხზე გაცემული პასუხი სრულყოფილად მიწოდებულ ინფორმაციად ითვლება, მისი სამართლიანობა სრულიად საფუძვლიანად დგება ეჭვქვეშ.

ბასაჩივრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შპნიშპნა-20 შპნიშპნა-21

I თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი და 33-1 მუხლის, რომელიც არასწორად განმარტა

შემდეგ მიზეზთა გამო: სასამართლო ინსტიტუტის მიერ 2011 წლის N20110541; N20110542; N20110543 და N20110544 (იხ. დანართი N3, 8 ფურცლად) წერილებზე გაცემულ ინფორმაციად ჩათვალა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-107/7 წერილი, რომელიც ინსტიტუტის 2011 წლის 12 სექტემბრის N20110925; N20110926; N201109289 და N20111021 განცხადებებს (იხ. დანართი N4, 6 ფურცლად) ეხებოდა. შესაბამისად მათ მიერ არ იქნა განხორციელებული ქმედება ყველა იმ საკითხზე, რაც წინამდებარე საქმის დავის საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება, რომლითაც სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით ქმედების განხორციელებას დაავალდებულებდა.

II თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტს მიადგა არაქონებრივი ზიანი 1 (ერთი) ლარის ოდენობით. სასამართლომ აღნიშნული მუხლი განმარტა შემდეგნაირად: ვინაიდან მოთხოვნის გაცემაზე უარი კანონიერია, ხოლო ამ ქმედებით ზიანი არ მიადგა ინსტიტუტს, მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული (იხ. სასამართლო გადაწყვეტილების 6.4 პუნქტი). სამინისტრომ პასუხი გასცა იმ წერილებზე, რომელიც სასამართლოში დავის საგანს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, სახეზეა არაქონებრივი ზიანის ფაქტი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

III თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-10 მუხლი), რომელიც ასევე არასწორად განმარტა. რეესტრის სუბიექტს უფლება აქვს შეაგროვოს (დაამუშაოს) შესაბამისი მონაცემები, რაც წინამდებარე საქმის მასალებიდან არ ჩანს. სამინისტროს მიერ არ იქნა განხორციელებული შესაბამისი მონაცემების შეგროვება (დამუშავება), სხვა შემთხვევაში სამინისტრო ინსტიტუტს პასუხს იმ საკითხებზე მიწერდა, რომელიც სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა.

IV თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლები, რომლის საფუძველზეც, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია მის მომთხოვნზე. ამასთან, მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით, დაწესებულება ვალდებულია ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტები მოიძიოს და დაამუშაოს. სიტყვაში დამუშავება არ იგულისხმება, განსხვავებული საქმიანობის განხორციელება. ამ შემთხვევაში იგულისხმება კონკრეტული ინფორმაციის შეგროვება, რომლითაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს მიეწოდება შესაბამისი პასუხი. აქ აბსოლუტურად გაუაზრებელი ცნებაა ე.წ. „ლოგიკური სინთეზი“. საჯარო დაწესებულებაში აღირიცხება ყველა ის საქმიანობა, რაც მის ფინანსებთან და სხვა საკითხებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, 2011 წლის პირველი კვარტლის მონაცემები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში უნდა იყოს დაცული. რადგანაც ეს დოკუმენტები არსებობს, ე.ი. მისი გაცემა შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ხოლო თუ დოკუმენტის გაცემაა შესაძლებელი, ინფორმაციის მომთხოვნის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია განხორციელოს ამგვარი ქმედება. შესაბამისად, ინსტიტუტისთვის სამინისტროს უნდა მიეწოდებინა თითოეულ პუნქტზე მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი სახით და არა კონკრეტული ციფრები, რომელიც 2011 წლის მეორე კვარტალს ეხება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ რა სახის სამართლებრივ უსწორობას შეიცავს თბილისის

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

V თბილისის საქალაქო სასამართლომ არ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, რომელშიც გაწერილია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლება.

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

უზამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

1.

შენიშვნა-24

უზამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-25

უზამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

სსპა სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:
2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგვირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ

ვის?

რომელი ენის მცოდნე?

არა

საჩივრის ზასი — 150 ლარი

შპნიშპნა-28

სასელმწიფო ბაჟი — 150 ლარი

შპნიშპნა-29

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიას არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შპნიშპნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიას მორიგების პირობები:

არა რადგან

შპნიშპნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ
არა რადგან

შპნიშპნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხლომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხლომაში

შპნიშპნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ
არა რადგან

შპნიშპნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ
არა რადგან

შპნიშპნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შპნიშპნა-36 შპნიშპნა-37

დანართი 1: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება (8 ფურცლად).

დანართი 2: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის 08 ნოემბრის N2/03-10717 წერილი (3 ფურცლად).

დანართი 3: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 02 მაისს გაგზავნილი განცხადებები, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით - ეს წერილები წარმოადგენს დავის საგანს (8 ფურცლად).

დანართი 4: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში 2011 წლის 12 სექტემბერს გაგზავნილი განცხადებები, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით - ეს წერილები წარმოადგენს არ წარმოადგენს დავის საგანს. დანართი N2 მოწოდებული საჯარო ინფორმაცია სწორედ აღნიშნულ წერილებს ეხება (6 ფურცლად);

დანართი 5: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (2 ფურცლად).
ფურცლების საერთო რაოდენობა — დანართი 25 ფურცლად, მთლიანად 45 ფურცლად.

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, საშუალო ადგილი და საშუალო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, საშუალო ადგილი და საშუალო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
12. სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
13. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეს არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მონხარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>
 შპნიშპნა-38

საიდენტიფიკაციო ნომერი:
 შპნიშპნა-39

შპნიშპნა-40 **ელ. ფოსტა:** 2nd.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	გიორგი კდლიაშვილი	22/12/2011 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი, გვარი	შეესების თარიღი

შეესებული ფორმა შეიძლება ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შმ60შ36ა-41

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“
(IDFI) არის არასამთავრობო ორგანიზაცია.

ინსტიტუტის პრიორიტეტს წარმოადგენს კანონით
ნებადართული ნებისმიერი ღონისძიების და საქმიანობის
განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასა და მისი
ხარისხის ამაღლებასთან, ასევე სახელმწიფო ვებ-რესურსების
განვითარებით ხელისუფლების ღიაობისა და გამჭვირვალობის
გაუმჯობესებასთან, დოკუმენტების ხელმისაწვდომობის
და არქივების გახსნილობის, სამოქალაქო საზოგადოების
განვითარებისა და დემოკრატიული ღირებულებების
დამკვიდრების ხელშეწყობასთან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ა. მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი. 0179.
ტელ: + 99532 2996364
ელ ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge / www.opendata.ge

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“



გზამკვლევი გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს
ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“ პოზიციას.
შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის
პასუხისმგებელი გზამკვლევის შინაარსზე.

ISBN 978-9941-0-4311-6



9 789941 043116 >